 გაზეთი ბოლოსია, „ბოლოსია" ერთი

# ბოლოს

ფასი 50 თეთრი

№75 (970) 14 - 15 ივლისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი


## წერილი გიგის

„სასამართლოზე წასვლის წინ, გაგჩხრეკენ და ოფიცერი მშვიდად გეტყვის: „ჩაიხადა, ჩაჯდა..."

გვ. 3

# უგულავას ბრალი დაუმტკიცდება?!

## აუდიტის სახელმწიფო სამსახურის ახალი მასაღები

გვ. 6-7

## თბილისის გამწვანებით „მოტეხილი" მილიონები

## მარკირებული თითებისა და 20%-იანი ფასდაკლების სკანდალის უცნობი დეტალები

ნაციონალური საბოტაჟის მორიგი კრახი თუ ხელისუფლების არასწორად დაგეგმილი პიარი

გვ. 5

## ვისთან მიდის საქართველოში აღმოჩენილი 3 ტონამდე თხევადი ჰეროინის კვალი

ვახი ვახიშვილი გამოძიებას ყოფილი მაღალჩინოსნებით დაინტერესებას ურჩევს

გვ. 3

## მაესტრო

## შეიძლება ახალ სკანდალში გაეხვიოს

რა პრეტენზიები აქვს ოქრუაშვილის მეგობარს, ბრიუსელში მოღვაწე ქართველ ჟურნალისტ გიორგი ფოფხაძეს ტელევიზიასთან

გვ. 5

## ქურდული გარჩევები რუსთავის №17 დაწესებულებაში და ზონის ჩასვრილი მაყურებელი

გვ. 8

# გველი, ფოლკეშტეინი და გუბაზ სანიკიძის ბინიდან ამოწერილი სოზარ სუბარი

## თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის კურიოზები

ნრუსუდან შელია
557-100-768

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისს ახალი მერი ჰყავს — დავით ნარმანიამ ნაციონალური მოძრაობის თბილისის მერობის კანდიდატი ნიკანორ მელია 72, 47%-ით დაამარცხა. ამ უკანასკნელმა, პირველი ტურის მაჩვენებელი ვერ გააუმჯობესა და 12 ივლისს ჩატარებულ ხელახალ არჩევნებშიც 27,53%-ს დასჯერდა. „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს რეგიონებშიც. ცესკო-ს წინასწარი მონაცემებით, კოალიციის მერობის კანდიდატების შედეგები ასეთია: თელავში, პლატონ კალმახელიძემ ამომრჩეველთა ხმების 70.61% მიიღო, რუსთავში, დავით ჯიქიამ — 64.77%, მცხეთაში, ავთანდილ ნემსიწვერიძემ — 62.99%, გორში, ზურაბ ჯირკველიშვილმა — 62.23%, ოზურგეთში, ბეგლარ სიორიძემ — 58.9%, ფოთში — ირაკლი კაკულიამ 71, 78%, ბათუმში, გიორგი ერმაკოვმა — 77.29%.**

ცესკო-ს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოს არჩევნების ისტორიაში ყველაზე კომპლექსურ და, საორგანიზაციო თვალსაზრისით, რთულ არჩევნებად შეაფასა. მართალია, ამომრჩეველი მაღალი აქტივობით არც მეორე ტურში გამოირჩეოდა, მაგრამ საარჩევნო უბანზე მისულ ერთ-ერთ ამომრჩეველს, ტექნიკური ხარვეზის გამო, ხმის მიცემის შესაძლებლობა არ მისცეს. ეს „დაჩაგრული“ ამომრჩეველი, არც მეტი, არც ნაკლები, სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი იყო, რომელიც გუბაზ სანიკიძეს ბინიდან ამოუწერია. სუბარმა გაუგებრობის მიზეზს „ძალიან სასაცილო და ბანალური“ უწოდა, მოგვიანებით კი განმარტა, სახლს ნომრები შეუცვალესო: **„გაირკვა, რომ მიწერილი არსად ვარ... საქმე ისაა, რომ ქუჩას ნომრები შეეცვალა. ჩემი ბინა, რომელიც ცინცაძის №43-ში მდებარეობდა, ახალი გადანომვრით №49 გახდა. ამჟამინდელ №43-ში კი, გუბაზ სანიკიძე ცხოვრობს. 15 ივნისის არჩევნებზე კი გამიკვირდა, როდესაც გუბაზ სანიკიძემ დამირეკა და მითხრა, რომ ჩემი ბარათები მასთან მიიტანეს, მაგრამ ვიფიქრე, შეეშალათ, რადგან ჩვენი ბინის ნომრები ერთმანეთს დაემთხვა და აღარ მიმიქცევია ყურადღება. მაშინ ჩვეულებრივად მივეცი ხმა. ამასობაში, გუბაზის ოჯახმა რომ ნახა, მათ ბინაში ვარ შეცდომით ჩაწერილი, შესაბამის უწყებას მიმართეს — ხარვეზი გაასწორეთო. იქიდან კი ამომწერეს, მაგრამ არც მე შემატყობინეს, არც გუბაზს და რეგისტრაციის გავლაც დროულად ვერ მოვახერხე“.**

ვიდრე სოზარ სუბარი საკუთარ მისამართს არკვევდა, თერჯოლის №18 საარჩევნო უბანზე გველი შეიპარა. მართალია, ქვეწარმავლის ხილვამ დამკვირვებლებსა და ამომრჩევლებში პანიკა გამოიწვია, მაგრამ გველმა საარჩევნო პროცესი ვერ ჩაშალა.

გველზე აგრესიული ხონში, სოფელ გორდის მე-5 საარჩევნო უბანზე, დამკვირვებელი ზეინაბ ფოლკეშტეინი აღმოჩნდა, რომელიც ამომრჩეველს ფიზიკურად გაუსწორდა. თვითმხილველების განცხადებით, დამკვირვებელმა ამომრჩეველი სასტიკად იმ მიზეზით სცემა, რომ ხმის მიცემა მეორეჯერ სცადა. შემდეგ კი, შესასვლელში დადგა და უბანზე შესვლის უფლებას არავის აძლევდა.

მეორე ტურს ინციდენტების გარეშე არც დედაქალაქში ჩაუვლია: სამართალდამცველებმა ნაციონალური მოძრაობის ორი აქტივისტი — ნუგზარ მკალავიშვილი და მერაბ ბადაგიძე დააკავეს. შსს-ს განცხადებით, მერაბ ბადაგაძეს ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ აღმოუჩინეს. ნაციონალურმა მოძრობამ კი, აქტივისტების დაკავება „ხელების გადაგრეხვის მცდელობად“ შეაფასა...

საქართველოს მასშტაბით, ყველა საარჩევნო უბანი 20:00 საათზე დაიხურა და მას შემდეგ, ცესკო-მ წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა, კოალიციის ცენტრალურ შტაბში დავით ნარმანიას გამარჯვება ამჯერად შამპანურის გარეშე აღნიშნეს. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კი, თანაგუნდელებს გაორმაგებული ენერგიით თავდაუზოგავი შრომისკენ მოუწოდა: **„ავიღოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და ამ განცდით, ამ შეგნებით ერთად უნდა ვიზრუნოთ ქვეყანაზე. დარწმუნებულები ვართ, ყველანი ერთად საქართველოს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების რიგში ჩავაყენებთ“.**

დავით ნარმანიამ მომავალ გეგმებზე არჩევნების დასრულებისთანავე ისაუბრა და დააანონსა, რომ მერიის სისტემა სტრუქტურულ ოპტიმიზაციას დაექვემდებარება. ნარმანია პირობას დებს, რომ მერიაში მუშაობას ყველა პროფესიონალი კადრი გააგრძელებს, ისინი კი, ვინც თანამდებობას პოლიტიკური ნიშნით ინარჩუნებდა, ვეღარ იმუშავებენ:

**„სტრუქტურული ოპტიმიზაცია ცალკეული მიმართულებით იმ ახალი სამსახურების ფორმირებას გულისხმობს, რომელიც ჩვენი პროგრამის რეალიზაციისთვის აუცილებელია. არ გამოვრიცხავ ცალკეული სამსახურების სახეცვლილებასაც. რაც შეეხება კადრებს, მუშაობას ყველა პროფესიონალი კადრი გააგრძელებს, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ხელს გვიშლიდნენ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, ადამიანები, რომლებიც გაფორმებული იყვნენ სხვადასხვა სამეთვალყურეო საბჭოებში, სხვადასხვა უწყებაში და დატვირთულნი იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით, მათი ადგილი თბილისის მერიაში არ იქნება. დედაქალაქის მერია კვალიფიციურმა ადამიანებმა უნდა მართონ და ასეც იქნება“.**

დავით ნარმანიას განცხადებით, უახლოეს დღეებში მერის მოადგილეებისა და გამგებლობის კანდიდატებიც დასახელდება.

თბილისის ახალ მერს გამარჯვება დამარცხებულმა კანდიდატმა ნიკანორ მელიამ არ მიულოცა, თუმცა წარმატებები უსურვა: **„ბედნიერი ადამიანი და თბილისის მოქალაქე ვიქნებოდი, კონკურენტისთვის გამარჯვება მიმელოცა, მაგრამ ვერ მივულოცავ გამარჯვებას იმ კანდიდატს, რომლისთვისაც დედაქალაქის ყოფილი მერის დაკავება გახდა საჭირო. თუმცა, რა თქმა უნდა, როგორც ამ ქალაქში მაცხოვრებელი ადამიანი, დავით ნარმანიას წარმატებას ვუსურვებ და ბედნიერი ადამიანი ვიქნები, თუ იგი უხვად გაცემული დაპირებების შესრულებას შეძლებს“.**

## ჯეიმს ბეიკერი: „შევარდნაძე და გორბაჩოვი რომ არა, საქართველო თავისუფალი არ იქნებოდა!“

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანის, ჯეიმს ბეიკერის თქმით, **„რომ არა შევარდნაძისა და გორბაჩოვის პირადი პოლიტიკური სიმამაცე, ვერ მოხდებოდა იმ ცვლილებების განხორციელება, რომელიც საბჭოთა კავშირში მოხდა.“**

**„უნდა გვახსოვდეს, ცივი ომი დასრულდა მშვიდობიანად, რაც სრულიადაც არ იყო სავალდებულო და აუცილებელი, ასე მომხდარიყო, შეიძლება სულ სხვანაირდ განვითარებულიყო მოვლენები. გორბაჩოვი და შევარდნაძე იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც უარყვეს ძალის გამოყენება და მათ ეს რომ არ გაეკეთებინათ, ცივი ომი მშვიდობიანიად არ დასრულება“,** — განაცხადა ბეიკერმა.

ამასთან, ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებსაც ეხმაურება და აცხადებს, რომ საქართველოში არჩევნების თავისუფალ გარემოში ჩატარება მნიშვნელოვანია

მისივე თქმით, ასევე აღსანიშნავია, ის, რომ საქართველოში ხელისუფლების გადაცემა მშვიდობიანად მოხდა.

შეგახსენებთ: 2003 წლის ზაფხულში, როცა პოლიტიკური ძალები ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესზე ვერ თანხმდებოდნენ, საქმეში ამერიკელი დიპლომატი ჯეიმს ბეიკერი ჩაერთო. თბილისში ჩამოვიდა და მხარეებს შესთავაზა ფორმულა 5+9+1. ამ ფორმულის მიხედვით, ცესკო-ში ხუთი წევრი მთავრობას უნდა დაენიშნა, ოპოზიციას 9 მანდატი გაეყო, ხოლო ერთი – ნეიტრალური, ეუთო-ს მიერ შერჩეული ყოფილიყო. მხარეები ჯეიმს ბეიკერის შეთავაზებულ მოდელს დადებითად შეხვდნენ, თუმცა საბოლოოდ, საარჩევნო კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების ასახვა მაინც ვერ მოხერხდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი და აშშ საქართველოს უმნიშვნელოვანეს არჩევნებს ულოცავენ

ჰოლანდიის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოების ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური მშვიდად ჩატარდა, თუმცა მცირე რაოდენობის დარღვევები იყო.

**„შაბათს ჩატარებული მეორე ტურის არჩევნები ასახავს კონკურენტულ პოლიტიკურ გარემოს. ჩვენს ერთობლივ დამკვირვებელთა მისიაში შედიოდა 56 მონიტორი ამერიკის, ბრიტანეთისა და ნიდერლანდების საელჩოებიდან. მათ მოიარეს 10 საარჩევნო ოლქი და 300-ზე მეტი უბანი მოინახულეს. ჩვენ მივესალმებით სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებელთა ძალისხმევას. მათთან ერთად, ჩვენი დამკვირვებლებიც აღნიშნავენ ზოგადად არსებულ მშვიდ საარჩევნო გარემოს, მათ მიერ მიმოხილულ 1525 უბანზე, მცირე რაოდენობის დარღვევებით“,** — ნათქვამია საელჩოების ერთობლივ განცხადებაში.

*„ინტერპრესნიუსი“*

ვერსიანიუსი

## შსს-მ სოფელ გოგაშენში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გენადი ი. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გენადი ი-მ მიმდინარე წლის 10 ივლისს, საღამოს, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგაშენში, შურისძიების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან 5 გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ქალაქ ახალქალაქში მცხოვრებ, 1965 წელს დაბადებულ მელანია ქ-ს და მის შვილიშვილს, 2013 წელს დაბადებულ კატერინა ნ-ს, რომლებიც მიღებული ჭრილობების შედეგად, საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალნენ. ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, გენადი ი. მომხდარიდან რამდენიმე საათში, სოფელ გოგაშენთან, ტყეში დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი „ეს-კა-ეს“-ის ტიპის კარაბინი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ რამდენიმე წლის წინ გენადი ი. მოკლული ქალბატონის ქალიშვილს ემუქრებოდა, რის გამოც 2011 წელს მუქარის ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყო მიცემული საქართველოს სსკ-ს 151-ე მუხლით.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლით).

*„ვერსიანიუსი“*

# ვისთან მიდის საქართველოში აღმოჩენილი 3 ტონამდე თხევადი ჰეროინის კვალი

ეროსუდან შელია
557-100-768

**რამდენიმე დღის წინ შსს-მ უპრეცედენტო ნარკოტრაფიკის საქმე გახსნა, რომელსაც ანალოგი მხოლოდ საქართველოში კი არა, კავკასიის რეგიონშიც არ აქვს — სამართალდამცველებმა სატვირთო ავტომობილის ჩხრეკისას, 2 ტონა და 790 კილოგრამი თხევადი ჰეროინი აღმოაჩინეს. გამოძიებამ ისიც დაადგინა, რომ სატვირთო ავტომობილი საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შემოვიდა და თურქეთის მიმართულებით მოძრაობდა. საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის წინასწარი ცნობით, აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება 80% სუფთა ჰეროინს შეიცავს, რომლის საბაზრო ღირებულება ასეულობით მილიონი დოლარია. მართალია, პოლიციამ და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა საქართველოს ორი მოქალაქე უკვე დააკავეს, მაგრამ ნარკოტიკული საშუალების უკანონო ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვის ფაქტზე გამოძიება გრძელდება. უდავოა, დაკავებულები კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯაჭვის მხოლოდ რგოლები არიან, ქსელის სათავე კი გაცილებით შორს მიდის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზღვარზე სამართალდამცავებმა დიდი რაოდენობით ჰეროინის ტრანზიტის ფაქტი, დაახლოებით, ერთი წლის წინაც აღკვეთეს. მაშინ საუბარი 116 კილოგრამ ჰეროინზე იყო — ავტომანქანის ჩხრეკისას, რომელიც სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით ჩატარდა, სამართალდამცველებმა ძარაზე დამონტაჟებულ სპეციალურ სამალავებში,**

## კახი კახიშვილი გამოძიებას ყოფილი მაღალჩინოსნებით დაინტერესებას ურჩევს

**500-გრამიან შეკვრებად დაფასოებული 232 ერთეული ჰეროინი აღმოაჩინეს. ვისზე გავა გამოძიება, ვინ დგას ნარკოდაჯგუფების პირამიდის სათავეში, რა გზას გადიოდა საქართველოში შემოსული ნარკოტიკი, რა პერიოდულობით და რა კავშირი ჰქონდათ ნარკოდილერებთან ყოფილ მაღალჩინოსნებს? — „ვერსიას“ ექსპერტი კახი კახიშვილი ესაუბრა.**

— შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოვლენილი ნარკოტრანზიტის ფაქტი, მასშტაბით, მართლაც, უპრეცედენტოა. მხოლოდ ოფიციალური მონაცემების საფუძველზე კონკრეტულ დანაშაულზე საუბარი რთულია, მაგრამ ფაქტია, მსგავსი რაოდენობის ჰეორინის გადაზიდვა საშუალო დილერებს აზრადაც არ მოუვიდოდათ. ჩნდება ერთ-ერთი მთავარი კითხვა — რა პერიოდულობით გადიოდა საქართველოს ტერიტორიაზე ნარკოტრანზიტი? დარწმუნებული ვარ, ნარკოდილერებს სხვადასხვა ქვეყანაში მფარველები ყავთ.

**— როგორც წესი, ნარკოდილერები გარანტიებს ხელისუფლების პირველი პირებისგან იღებენ, მაგრამ, რადგან საქართველოში ნარკოტვირთი შეჩერდა, ეს ნიშნავს, რომ ნარკომაფიოზებსა და მთავრობას შორის გარიგება უნდა გამოვრიცხოთ?**

— ვისაც მსგავსი ტიპის საქმეებთან შეხება ჰქონია, ესმის, სამართალდამცავ სისტემასა და საბაჟო მფარველების გარეშე, ასეულობით მილიონის ღირებულების ნარკოტრანზიტი არ ხორციელდება. ლოგიკურია, ნარკომაფიოზებს ამ შემთხვევაში გარკვეული გარანტიები ჰქონდათ, თუმცა, როგორც ჩანს, გარკვეული საკითხები ვერ გათვალეს. იმის თქმაც ძნელია, ვინ მიაწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკოტრანზიტის შესახებ ზუსტი ინფორმაცია. რა თქმა უნდა, ასეთი ტიპის ნარკოდანაშაულთან ბრძოლა რთულია, რადგან, როგორც გითხარით, მასში საშუალო დონის ნარკოდილერები არ მონაწილეობენ. ამიტომაც ვამბობ, გამოძიება, პირველ რიგში, იმ ადამიანებით უნდა დაინტერესდეს, რომლებიც დანაშაულებრივი პირამიდის სათავეში დგანან. ასევე, გამოსავლენია სპეცსამსახურებსა თუ სამთავრობო წრეების თანამშრომლები, რომლებიც დანაშაულს ხელს უწყობენ, რადგან ნარკომაფიოზები გარანტიებს ყოველთვის პოლიტიკოსებისა თუ თანამდებობის პირებისგან იღებენ. საქართველოში ნარკოტრანზიტის აღიკვეთა იმაზე მიანიშნებს, რომ მსგავსი მოლაპარაკებები დღეს აღარ მიმდინარეობს, მაგრამ ადრე ვინ იდგა ამ ორგანიზებული დანაშაულის უკან, გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

**— ანუ გამოძიების ხაზი ყოფილ მაღალჩინოსნებამდე მივა?**

— სავარაუდოდ, მივა. გამოძიების დასრულებამდე, კონკრეტული ადამიანების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ვიმეორებ, თანამდებობის პირების ან პოლიტიკოსების გარეშე, რომლებსაც ქვეყანაში ძალაუფლება და ბერკეტი აქვთ, დიდი რაოდენობით ნარკოტრანზიტის გატარებას ვერავინ გაბედავს. ნარკომაფიოზები იმ ქვეყნის სამართალდამცველებისა თუ პოლიტიკოსებისგან იღებენ გარანტიებს, სადაც ნარკოტრანზიტმა უნდა გაიაროს.



# „გიგი, სასამართლოზე წასვლის წინ, გაგჩხრეკენ და ოფიცერი მშვიდად გეტყვის: „ჩაიხადა, ჩაჯდა...“

გიორგი იაშვილი

**ცოტა არ იყოს, ვღელავ, გიგი. ბოლოს ქაღალდზე წერილი ბებიაჩემს მივწერე, არ იყო მაშინ კომპიუტერი და სოცქსელები. ახლა კი, რადგან ვიცი, რომ ეს წერილი ქაღალდზე დაიბეჭდება, ვღელავ, რა. ბებიას კი აშკარად ვერ შეგადარებ ერთი მიზეზის გამო — ის ძალიან, ძალიან მიყვარდა...**

## წერილი უგულავას

წერილის დაწერა მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც ჯერ შოუბიზნესის წარმომადგენლებმა ატეხეს ერთი ამბავი, მერე ის ხალხიც აჰყვა, თავს პოლიტიკოსს რომ უწოდებს, ბოლოს კი, მეეზოვეებმაც დაიწყეს სლუკუნი. ერთ-ერთმა მეეზოვემ მაისურზე დაიხედა, სადაც „მე ვარ ჩემი ქალაქის მეეზოვე“ ეწერა და სულ ცრემლების ყლაპვით თქვა, ეს სლოგანი გიგიმ მოიფიქრაო. რა კრეატიული ყოფილხარ, ბიჭო, ეგ რომ თავის დროზე მცოდნოდა, უფრო ახლოს გაგიცნობდი. ისე, ეზო „მატროსოვის“ ციხესაც ექნება და თუ გინდა, მანდაც გახდი მეეზოვე, მაისურები ჩემზე იყოს. ერთი ეგაა, ციხეზე პატიმარ მეეზოვეებს „კაზიოლები“ ჰქვიათ და უთხარი მანდ ბიჭებს, „კაზიოლი“ არ დაგიძახონ, ხალხი რასაც გეძახის შენც და მაგათაც, ისედაც გეყოფათ.

ისე, ჩანს, შენი დაჭერით კოჰაბიტაცია მართლა სრულდება, მაგრამ შენ არ იდარდო, გიგი, მანდ შეგიძლია, გააგრძელო ვანოტაცია, ბაჩოტაცია და ზოგადად, იმდენი „ტაციაა“ დაჭერილი თუ დასაჭერი, წესით, არ უნდა გაგიჭირდეს. ამბობენ, „დათატაცია“ გზაშია, მალე „მასტერატაციაც“ ჩამოვა და ეგებ, კეზერატაციაც მოგვაშველოს იმ პროკურატურამ, ბოტასის ქურდის შეფობა რომ არ შეარჩინეთ შენ და შენმა მეგობრებმა. მაშინ ვერ მივხვდი და ახლა ვხვდები — თანამდებობაზე თუ მუშაობ, 50 მილიონი მაინც უნდა გქონდეს მოპარული, ბოტასი რას მიქვია...

შენ რომ ქართულ შოუბიზნესს გადახედო, გული დაგეწვება. არა, იმას კი არ ვგულისხმობ, რასაც აქ შოუბიზნესს ვეძახით, ცივილიზებულ ქვეყნებში კი პაპსას უწოდებენ... არა, გიგი, შენს თავს გლოვობენ. წინა დღეს ლელა წურწუმია შემხვდა და გვერდით რომ ჩამიარა, იცი, რას ღიღინებდა? — „სადა ხარ, სად მოგზაურობ, კარდაკარ სად გიქროლია“... სტეფანეც ღიღინებდა: „მე ამ ღამეს დიდ ხანს ველოდი, ამ სიმღერებს შენ გიმღეროდიო“ და მგონი, რაღაცას ვერ მივხვდი... კახა ცისკარიძემ თავისი ჰიტი გადააკეთა და ახლა ხანუმებთან ერთად ასე მღერის: „გიგი, შენი სიყვარული, არ ამოვა გულიდანა“...

და განა მარტო საქართველოში, გიგი? საზღვარგარეთაც გლოვობენ შენს დაჭერას. ლას ვეგასის კაზინოს მენეჯერს ხელი ჩაუქნევია — ჩაგვივარდა ამ ზაფხულს მუშაობა, უგულავა დაუჭერიათო. სტრიპტიზბარების თანამშრომლებს ბიკინი შემოუხევიათ, რაღად გვინდა, ფულის ჩამკუჭავი აღარ გვყავსო და ისეთი ცხარე ცრემლით ტირიან, თურმე, თბილისიდან გაძევებულ დავით აღმაშენებლის ძეგლს აღმართულ ხელში ცხვირსახოცი დავაჭერინეთ, ცრემლი რომ შეუმშრალოს.

გივი თარგამაძე სახლიდან არ გამოდის, თურმე. წინ შენი, ვანოსა და ბაჩოს სურათი უდევს და ბუტბუტებს — სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებოო. ახლა ვფიქრობ, ნაციონალური მოძრაობის რიგების დატოვებას აპირებს და თქვენს სურათებზე ვარჯიშობს თუ, უბრალოდ, ისევ ხელისუფლებაზეა გაბრაზებული. ისიც გავიგე, წინა დღეს დავით ბაქრაძე ყოფილა თქვენს სანახავად და გული დამეწვა. რა დრო იყო, შენ და დათო საზღვარგარეთ შეხვედრებს რომ მართავდით და ქვეყნის ბიუჯეტს ისე ექცეოდით, როგორც მონიკა ლევინსკის ბილ კლინტონი. კლინტონი შემთხვევით არ მიხსენებია, აშშ-ც შფოთავს, თურმე, ეს რა კაცი დაიჭირეს, ნაგვის მანქანები ვის მივყიდოთ ახლა, არც ერთ გამოფენას არ ტოვებდაო.

მიშაზეც გეტყვი. ხომ გახსოვს, ახალ ციხეებს რომ ხსნიდა, იქ არსებული კომფორტით ამაყობდა და კვირაში ერთხელ „ბალანდასაც“ უსინჯავდა გემოს? ჰოდა, ახლა იძახის, თურმე, ჩემი წილი „ბალანდა“ ნაჭამი მაქვს და ვისაც არ აქვს, იმან იკითხოსო. ისე, მიშა იმასაც ამბობდა, ვანო სახელმწიფოს ხერხემალია, ბაჩო ახალაიას თავი უმუშავებსო და ამ თემას ბოლომდე ნუ გაჰყვები, თორემ ხომ ხედავ, სხეულის რა ნაწილებია დარჩენილი და შენ არ მოგაკერონ. სამაგიეროდ, ციხეში არსებობას ის გაგიიოლებს (ან გიგიიოლებს), რომ, როგორც გარეთ, „ობშიაკი“ მანდაც გროვდება და შავი სალაროს არსებობაც შესაძლებელია.

იმასაც ამბობენ, გიგი რა ჩიტიც არის, ისეთ გალიაში ჩასვესო და ვარლამ არავიძის არ იყოს, საფლავზე გალია რომ დაადგეს და მერე იძახდნენ, ლომი წევს გალიაში, ლომიო, ისეა თქვენი საქმე. არავიძეების სიმრავლეს შენც გრძნობდი ბოლოს, მაგრამ არ დაგიჯერეს და შედეგიც სახეზეა. პრინციპში, სახეზე კი არა, „მატროსოვზეა“, ის რომ მახსენდება, საჯარო ბიბლიოთეკასთან როგორ იქნევდი ხელებს და როგორ საამოდ ყვიროდი, აბა, ჰე, დადგით ახლა შოუო, ცრემლი მადგება. ჯერ ერთი, კარგი გოგოა შოუ (ლამაზი) და ახლა შენი დაჭერა იქნებოდა...

ისიც მახსოვს, აგვისტოს ომის დროს, მერი მთავარი შტაბის უფროსად რომ მოგვევლინე და ისიც, 9 აგვისტოს ტანკს რომ შეახტი, პამპერსის გაუხსნელი შეკვრა ჰაერში შეათამაშე და ბოლო ხმაზე იყვირე — დროზე, თბილისისკენ, თქვე იდიოტებოო და ისე გამოიქეცი, ფონიჭალაში ძლივს გაგაჩერეს. არადა, ვინ გიფასებს? შენ რუსთავში მაინც გარბოდი, შენი თანაგუნდელები კი რუსთავსაც გასცდნენ და საქართველოსაც. შენც კი შეატყვე ბოლოს, დაჭერას რომ გიპირებდნენ და უკრაინის პატრიარქთან შეხვედრის მოტივით აპირებდი გაფრენას...

სამაგიეროდ, შეგიძლია იამაყო — თბილისის მერად ისევ მეგრელი გვეყოლება. მართალია, მელია არ არის, მაგრამ ნუ იდარდებ, თუ რამე არ მოგეწონება, მაინც შეგეძლება ხმამაღლა თქვა — თავს მჭრი რაიონის მასშტაბით, ამხანაგო ღინტუ.

სასამართლოზე წასვლის წინ, გაგჩხრეკენ და ოფიცერი მშვიდად გეტყვის: „ჩაიხადა, ჩაჯდა“... არ გააპროტესტო, გიგი იმიტომ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ უკვე მართლა ჩაიხადა და... ჩაჯდა.

**P.S. ტექსტს მოგწერ და გიტარაზე დაკვრა მაინც ისწავლე: „მე საკანში მოვკვდე დავიკარგო, რა ვუყოთ, რომ დღეს ვერ ვხედავთ მზიანს, სააკაშვილს ვინ დაიჭერს კარგო, გალიაში უგულები ზიან“...**

# მსოფლიო ახალი კატასტროფის ზღვარზე

## ისრაელ-„ჰამასის“ ომის ქართული აქცენტები და გია ვოლკისეული შეფასებები

რუსუდან შელია, 557-100-768

**რამდენიმე დღეა, ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს — ისრაელსა და „ჰამასს“ შორის სამხედრო დაპირისპირებას მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება. დასავლეთი ჯერჯერობით დამკვირვებლის პოზიციაშია, თუმცა აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ისრაელის პრემიერს კრიზისის გადასაჭრელად დახმარება შესთავაზა. თეთრი სახლის განცხადებით, აშშ მზადაა, ხელი შეუწყოს მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტას და 2012 წლის ნოემბრის ხელშეკრულება ძალაში დააბრუნოს. საომარი მოქმედებების შეწყვეტისკენ მხარეებს გაერო-ს გენერალურმა მდივანმა და რუსეთის პრეზიდენტმაც მოუწოდეს. სხვათა შორის, არსებობს მოსაზრება, რომ ახლო აღმოსავლეთში დაპირისპირება სწორედ რუსეთის მიერაა პროვოცირებული. რა გავლენას მოახდენს ე.წ. ისრაელის კრიზისი საქართველოზე? — „ვერსიას“ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი ესაუბრა.**

— ახლო აღმოსავლეთში ვითარება კატასტროფის ზღვარზეა და შესაძლებელია, ისრაელსა და „ჰამასს“ შორის შეურიგებელი დაპირისპირება იორდანიასაც მოედოს, სადაც უამრავი პალესტინელი ცხოვრობს. იმისთვის, რომ ვითარება კონტროლს დაექვემდებაროს, სწრაფი და ეფექტური ზომებია მისაღები.

**— იორდანიის გარდა, დაპირისპირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ირანიცაა, რომელიც „ჰამასს“ მხოლოდ მატერიალურად კი არა, სამხედრო ძალითაც ღიად ეხმარება. ბატონო გია, თქვენი ვარაუდით, ეს ომი რა მასშტაბებზე გავა?**

— ირანი „ჰამასს“ მხარს ყოველთვის უჭერდა, მაგრამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დასავლეთთან მძიმედ, თუმცა პოზიტიურად მიმდინარეობს, თან ეკონომიკური პრობლემებიც დასაძლევი აქვს, რაც ენერგობაზარზე გასვლაში ხელს უშლის. ყველაფერ ამის გაუთვალისწინებლობა ხელს რუსეთის მონოპოლიას შეუწყობს და სქემა, რომელიც მშვიდობისა და სტაბილურობისკენ ასევე რუსეთის აგრესიულობის შემცირებისკენაა მიმართული, საფრთხის ქვეშ დადგება. ამიტომ, ლოგიკურად, ირანს უნდა სურდეს, სტაბილიზაციაში თავის წვლილი შეიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. თუ ირანი ცალკე თამაშს დაიწყებს, ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარება მსოფლიოს, განსაკუთრებით, ჩრდილო კავკასიის რეგიონს საფრთხეს შეუქმნის.

**— არსებობს რესურსი, რომელიც დაპირისპირებას მუსლიმურ ომამდე არ მიიყვანს?**

— ამ კითხვაზე სტანდარტული პასუხი მაქვს — საერთაშორისო ძალისხმევაა აუცილებელი.

**— დასავლეთი ჯერჯერობით დამკვირვებლის პოზიციაშია და, თუ უკრაინის მაგალითით ვიმსჯელებთ, ამ სტატუსის შენარჩუნებას ბოლომდე შეეცდება?**

— ხმამაღალი და მკაფიო განცხადებები ჯერ არ მოგვისმენია, მაგრამ დიდი ალბათობით, ამის დროც დადგება, თუმცა, როგორც გითხარით, ახლა ყველაზე სერიოზული მოთამაშე ირანია.

**— რუსეთიც სერიოზული მოთამაშეა, რომელიც ირანს დასავლეთთან დაპირისპირებაში მხარს ღიად უჭერდა და სიმპათიას არც „ჰამასის“ მიმართ მალავდა...**

— ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ რუსეთი ირანს სამხედრო თვალსაზრისით ეხმარებოდა, მაგრამ ფაქტია: დღეს ირანისთვის დასავლეთის მხარდაჭერა და დახმარება ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსეთისა... ასე რომ, ოქროს შუალედია მოსაძებნი.

**— ითქვა, რომ ისრაელსა და „ჰამასს“ შორის დაპირისპირება რუსეთის მიერაა პროვოცირებული, რათა მსოფლიოს ყურადღება უკრაინიდან ახლო აღმოსავლეთზე გადაიტანოს. მოსკოვის როლს თქვენც ხედავთ?**

— ჩემი აზრით, ამ შემთხვევაშიც, რუსეთისთვის არახელსაყრელი ვითარება შეიქმნა. კონკრეტული ინფორმაცია არ მაქვს, რეალურად რუსეთის ხელია ურევია თუ არა, მაგრამ მსგავსი „ცეცხლი“ რეგიონზე საკმაოდ სწრაფად ვრცელდება. რუსეთს თავისი პრობლემაც საკმარისზე მეტი აქვს. ანალოგიებზე საუბარი რთულია, მაგრამ, როცა ექსტრემისტული ფრთა აქტიურდება, ჩრდილოკავკასია მოვლენების მიღმა არასოდეს რჩება. ასე რომ, რუსეთს თუ რამე პრობლემა აქვს, ერთ-ერთი სერიოზული — კავკასიაა. ისიც ფაქტია, რომ რუსეთის ნაბიჯების პროგნოზირება შეუძლებელია. არის საკითხები, რაზეც თავად რუს პოლიტოლოგებსა და კრემლის წარმომადგენლებს დამაჯერებელი პასუხების პოვნა უჭირთ. ბჟეზინსკის ანალიზიც წავიკითხე, რომელიც რუსეთის შემდეგ ნაბიჯებს პროგნოზირებს, მაგრამ ერთ აზრს ნამდვილად არ ვეთანხმები: უკრაინის მოვლენებიდან ყურადღების გადატანა შესაძლებელია, მაგრამ იმის გამო, რომ ახლო აღმოსავლეთში დაპირისპირება ცხელ ფაზაშია, არავინ ფიქრობს, რომ უკრაინის ვითარება ნაკლებ საშიშია. რასაკვირველია, ახლა რუსეთი ეცდება, უპირატესობა თავისკენ გადაქაჩოს და დასავლეთი იმ მდგომარეობაში ჩააყენოს, თავისი ინტერესების სასარგებლოდ, კომპრომისებზე წასვლა მოსთხოვოს, მაგრამ დასავლეთში კომპრომისების არსენალიც საკმაოდ შეზღუდულია. თუ ახლო აღმოსავლეთში დაპირისპირება კონტროლს აღარ დაექვემდებარა და დაპირისპირების მასშტაბები გაიზარდა, ვერც რუსეთი შეძლებს სარგებლის მიღებას. პირიქით, საკუთარი თავი შესაძლოა, მნიშვნელოვნად დააზარალოს, თანაც ისე, რომ ამოსუნთქვაც ვეღარ შეძლოს.

ისე, თუ ისრაელსა და „ჰამასს“ შორის დაპირისპირების მაპროვოცირებელია, ამით რუსეთი არაპრაგმატულ ნაბიჯებს დგამს. თუ ახლო აღმოსავლეთში დაპირისპირებამ ფართომასშტაბიანი სახე მიიღო, რისი რეალური წინაპირობებიც არსებობს, რუსეთმა კი, ვითარების მოგვარებასა და მსოფლიო წესრიგის დამყარებაში პოზიტიური წვლილი არ შეიტანა, საკუთარ თავსა და რეგიონს ზიანს მიაყენებს.

**— მათ შორის, საქართველოსაც? საერთოდ, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში ჩვენ ქვეყანას რა როლი აქვს?**

— რუსეთ-ისრაელის ურთიერთობები იმდენად ანტაგონისტური არაა, ამ ორი სახელმწიფოს დაპირისპირებაზე ვისაუბროთ. საქართველო ისრაელის მეგობარი და, ამავე დროს, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორია და, საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესების დასაცავად, რეგიონული სტაბილურობა უნდა შეინარჩუნოს, თუნდაც ეს რუსეთთან მოლაპარაკების ფორმატს გულისხმობდეს, რაც პირველ რიგში, საქართველოს ინტერესებშიც შედის. დასავლეთიც სწორედ ამისკენ მიგვითითებს. არავის ინეტერესებშია ახალი დაძაბული კერების შექმნა, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაში. უნდა გვესმოდეს, რომ დასავლური რესურსებიც უკიდეგანო არაა. ამიტომ მოლაპარაკებები, რომელსაც საქართველო რუსეთთან აწარმოებს, დასავლეთისთვის აბსოლუტურად მისაღებია.

**— ეს გასაგებია, მაგრამ მთავარია, თქვენს მიერ აღწერილ პროცესში საქართველოს რისი დათმობა მოუწევს.**

> **— ოპონენტებისგან ვისმენთ, რომ საქართველომ რუსეთთან ურთიერთობები და სახელმწიფო ინტერესები მწვანილის გაყიდვის დონეზე ჩამოიყვანა. იმასაც გვეუბნებიან, რუსეთთან მეტი წინააღმდეგობა გვმართებს, ოკუპანტიაო... კი ბატონო, რუსეთი საქართველოსთვის, მართლაც, ოკუპანტია, მაგრამ საუბარი არც მწვანილზეა, არც ვაშლსა და არც წმინდა ეკონომიკურ მოგებაზე, ლაპარაკი, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხოებასა და სტაბილურობის შენარჩუნებაზეა. აშშ-სა და ევროკავშირს არც რესურსი აქვთ და არც სურვილი, რუსეთთან ურთიერთობაში დამატებითი კონფლიქტები შექმნან. ვფიქრობ, ეს მოსაზრება სწორია. ნუ ველით, რომ დასავლეთი თავისი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედებს.**

**— ბოლო დროს, დასავლეთისგან საქართველოს მიმართ განსაკუთრებული ყურადღება უკრაინის მოვლენებს უკავშირდებოდა. ახლო აღმოსავლეთში ომის ფონზე, საქართველო დასავლეთისთვის აქტუალობას შეინარჩუნებს?**

— დასავლეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არ შეიცვლება, თან ეს პროცესი დამოუკიდებლად არ უნდა წარმოვიდგინოთ, რადგან კომპლექსური პრობლემაა და ერთიან პაკეტში განიხილება. ახლო აღმოსავლეთში ვითარების დაძაბვით საქართველოს ყურადღება არ მოაკლდება. პირიქით, საქართველო დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

# „ნატო-მ ცხიმები დაწვა და კუნთები გააძლიერა!“

## რა კვაღი დაფოვა ანდერს ფოგ რასმუსენმა საქართველო-ნატო-ს ურთიერთობაზე

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი თანამდებობაზე ხუთწლიან მუშაობას, ასევე, რუსეთისა და ნატო-ს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობასაც აფასებს. კითხვაზე, რა გაკვეთილის გამოტანა შეიძლება უკრაინასთან მიმართებაში რუსეთის სამხედრო ტაქტიკიდან, რასმუსენი პასუხობს, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს სწრაფად მოქმედება შეუძლიათ. „დავინახეთ გაცილებით თანამედროვე შეიარაღებული ძალები იმასთან შედარებით, რაც 2008 წელს იყო, როცა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს. ამ მიზეზით, მოვუწოდებ ნატო-ს მოკავშირეებს, გაზარდონ თავდაცვის ხარჯი და დააჩქარონ ჩვენი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია. ბოლო 5 წლის განმავლობაში, რუსეთმა თავდაცვის ბიუჯეტი 50 %-ით გაზარდა და ეს მაშინ, როცა ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა თავდაცვის ხარჯი 20 %-ით შეამცირეს. რაც უკრაინაში ვნახეთ, გარდამტეხ მომენტად იქცა. ახლა შემცირებების შეწყვეტისა და თავდაცვის ხარჯების ზრდის დაწყების დროა“, — აღნიშნავს გენერალური მდივანი.**

ანდერს ფოგ რასმუსენი ბალტიისპირეთის ქვეყნებში ნატო-ს გაძლიერებული ძალების ყოფნას ადასტურებს და აცხადებს, რომ ნატო-მ სამი ბალტიისპირა სახელმწიფოს საჰაერო პატრულირება გააძლიერა. ამასთან, ბალტიისა და შავ ზღვებში გაგზავნა სამხედრო-საზღვაო ხომალდები და პოლონეთსა და ბალტიისპირა ქვეყნებში მანევრებს ატარებს: „ასე რომ, დიახ, ზღვაში, ჰაერსა და ხმელეთზე ხედავთ ნატო-ს დამატებით ყოფნას. ამას არ აქვს შეტევითი ხასიათი, ეს სუფთად თავდაცვითი ზომაა, რომელიც მოწოდებულია ჩვენი მოკავშირეების ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად“.

კითხვაზე, რუსეთი პარტნიორია თუ მოწინააღმდეგე? — ალიანსის გენმდივანი პასუხობს, რომ რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობის დასამყარებლად 20 წელზე მეტი დაიხარჯა: **„რუსეთი ისე არ იქცევა, როგორც პარტნიორი. რუსეთის სამხედრო დოკუმენტაციაში შეგვიძლია ვნახოთ, რომ ნატო-ში მოწინააღმდეგეს ხედავს. შესაბამისად, ამასთან ადაპტაცია უნდა მოვახდინოთ“.**

**„დღეისთვის ნატო უფრო ძლიერი, ოპერატიული და უკეთ მომზადებულია. ავღანეთის, კოსოვოსა და სხვა ოპერაციების წყალობით, ჩვენი შეიარაღებული ძალები ერთად მოქმედებასა და მუშაობას მიეჩვივნენ. ახალ შესაძლებლობებში ჩავდეთ ინვესტიციები. გადავწყვიტეთ კიბერდაცვის გაძლიერება. ასე რომ, მთლიანობაში, დავწვით ცხიმები და გავიძლიერეთ კუნთები. ასე რომ, დღეს გაცილებით ძლიერ ნატო-ს ხედავთ“,** — აცხადებს რასმუსენი.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა განმარტავს, რომ მთლიანობაში, ანდერს ფოგ რასმუსენის ხუთწლიანი მოღვაწეობა საქართველოსთან მიმართებაში დადებითად უნდა შეფასდეს. მისივე თქმით, გაწევრიანების სამოქმედო პროგრამის (მაპ-ი) მინიჭებას ალიანსის წევრი ქვეყნები, უპირველესად, გერმანია-საფრანგეთის გავლენით წყვეტენ და ამაში გენერალური მდივნის უშუალო როლი შემცირებულია:

**„რასმუსენის მოღვაწეობა ნატო-ს გენერალური მდივნის თანამდებობაზე დადებითად უნდა შეფასდეს. რაც შეეხება მაპ-ის მორიგ მიუღებლობას, ეს გადაწყვეტილება მხოლოდ გენერალურ მდივანზე არაა დამოკიდებული. ანდერს ფოგ რასმუსენი ალიანსში წამყვან პოზიციაზე მყოფი ქვეყნების — საფრანგეთისა და გერმანიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამიტომ, ეს მისი უშუალო გადაწყვეტილება არ ყოფილა. სწორედ რეალური გავლენის შედეგია, რომ გაწევრიანების სამოქმედო გეგმას ისევ არ გვძლევენ. მე რომ მკითხოთ, ნატო-ს სრულუფლებიანი წევრობისთვის მზად არც ვართ და მთელი რიგი საკითხები მოსაგვარებელი გვაქვს, მაგრამ ალიანსთან ურთიერთობის გააქტიურება აუცილებელია. საქართველოს მომავალი ევროატლანტიკური სივრცე — ევროკავშირი და ნატო-ა, ამიტომ დასავლურ სამყაროსთან ინტეგრირებისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ჩემი აზრით, ევროკავშირის სრული წევრობისთვის, მინიმუმ, 5-7 წელი გვჭირდება, რომ ყველა პოლიტიკურ-ეკონომიკურ-იურიდიული მოთხოვნა დავაკმაყოფილოთ; ნატო-სთან სრული ინტეგრაციისთვისაც რამდენიმე მთავარი პუნქტი ჯერ კიდევ შესასრულებელია.**

**მთლიანობაში, რასმუსენის მოღვაწეობას დადებითად ვაფასებ, მის მიერ საქართველოსთან მიმართებაში გაკეთებული განცხადებების შინაარსიც უმეტესად დადებითი იყო. რაც შეეხება ახალ გენერალურ მდივანს და მის პოლიტიკას, ვიმეორებ, ალიანის ნაბიჯები მარტო მასზე დამოკიდებული ვერ იქნება, ბერლინი და პარიზი, დიდწილად, განსაზღვრავენ გენერალური მდივნის პოლიტიკას. უკრაინის პროცესები კი, ამ ქვეყნების პოზიციაზე გავლენას მოახდენს. რეალურად, ნატო ევროკავშირის ქვეყნების თავდაცვის ძალაა, ევროკავშირის ახლანდელი ამოცანა კი ისაა, როგორმე უკრაინა რუსეთს ჩამოაშოროს“.**

# „მაესტრო“ შეიძლება ახალ სკანდალში გაეხვიოს

## რა პრეტენზიები აქვს ოქრუაშვილის მეგობარს ტელევიზიასთან და შესთავაზეს თუ არა ბიძინა ივანიშვილის გადაცემის პროდიუსერობა ბრიუსელში მოღვაწე ქართველ ჟურნალისტ გიორგი ფოფხაძეს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ბიძინა ივანიშვილის გადაცემა „ჯირყვნაი საკვირველი“ იქნება; უხეში საარჩევნო შეცდომის გამო, ევროპამ შესაძლოა, ყვითელი ბარათი გვიჩვენოს; თბილისის მერად თინა ხიდაშელის კანდიდატურა აჯობებდა, — ეს სარკასტული შეფასებები გიორგი ფოფხაძეს ეკუთვნის, რომელიც ნატო-სა და ევროკავშირში აკრედიტებული ერთადერთი ქართველი ჟურნალისტია. ბოლო დღეებში ჭორი გავრცელდა, ბერას ტელევიზია GDS-ზე ფოფხაძე ყოფილი პრემიერის გადაცემის პროდიუსერად მიიწვიესო, თუმცა საფრანგეთში მცხოვრები ჟურნალისტი „ვერსიასთან“ ინტერვიუში ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.**

— ჯერ ერთი, არც შეთავაზება მიმიღია და არც თოქ-შოუს ტიპის გადაცემების სპეციალისტი ვარ. მეორეც, საქართველოსა და ევროპაში პროდიუსერის მნიშვნელობა და მოვალეობები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. აი, წინადადება საინფორმაციო ბლოკიდან რომ მივიღო, დავთანხმდები. ამ დროისთვის, ბრიუსელში ერთადერთ ქართველ ჟურნალისტად ვრჩები, რომელიც ნატო-სა და ევროკავშირშია აკრედიტებული და რომელმაც იცის, ეს სტრუქტურები რეალურად რასაც ნიშნავს.

**— ბატონო გიორგი, ადრე განაცხადეთ, ყველა ქართულ ტელევიზიაში დაბლოკილი ვარო, არადა მახსოვს, სხვადასხვა დროს, „მე-9 არხზეც“ მუშაობდით, „მაესტროზეც“ და „ობიექტივშიც...**

— მართლა ყველგან დაბლოკილი ვარ: თითქმის ყველა ტელევიზიას ბევრი პროექტი შევთავაზე — ანალიტიკური გადაცემაც და ახალი ამბების ფორმატიც. ანალიტიკური გადაცემა საფრანგეთში, კოლეგასთან ერთად უკვე მიმყავდა და ძალიან რეიტინგული იყო. მსგავსი პროექტის გაკეთება ძვირი არ ჯდებოდა — თვეში 8 000 ევრო, მხოლოდ ტექნიკური ხარჯი. მუშაობა უხელფასოდ შემიძლია და ვამბობ, რეკლამებს აქეთ მოგიტანთ-მეთქი, მაგრამ მაინც უარს ვიღებ. რაც შეეხება „ობიექტივს“, ეს ჩემი ოჯახია. მე და ირმა ინაშვილი სტუდენტობიდან ერთად მოვდივართ. „მაესტრო“ დღეს რომ არსებობს, ჩემი დამსახურებაცაა: როგორც თბილისში იდგა პირახვეული მამუკა ღლონტი, ისე პირახვეული ვიდექი ბრიუსელში. „მაესტროზე“ მართლაც ვმუშაობდი, მაგრამ ცნობილი დავის დროს, ირაკლი ოქრუაშვილისა და ეროსი კიწმარიშვილის პოზიცია დავიჭირე და „მაესტროზე“ მუშაობა შევაჩერე, თუმცა „მაესტროდან“ გათავისუფლების შესახებ წერილი დღემდე არ მიმიღია. ამიტომ ჩათვალეთ, სასამართლოს მეშვეობით, ნებისმიერ დროს მოვითხოვ, ის ფული გადამიხადონ, რაც მეკუთვნის. სასამართლოსთვის ჯერ არ მიმიმართავს, რაც უნდა იყოს, კოლეგები არიან, თანაც მე და მამუკა ღლონტი ძველი მეგობრები ვიყავით და ის მტკენს გულს, თანამშრომლობაზე უარს თუნდაც „მაესტრო“ რომ მეუბნება. ერთადერთი ტელევიზია, რომელთანაც რაღაც შეხება მაქვს, თV 3-ია, თუმცა მას ისევე, როგორც „ობიექტივს“, ფინანსური პრობლემები აქვს.

**— ბატონო გიორგი, ჟურნალისტების პოლიტიკაში, პოლიტიკოსების კი ჟურნალისტიკაში წასვლას, აი, თუნდაც ბიძინა ივანიშვილის „გაჟურნალისტებას“ როგორ აფასებთ?**

— ზოგიერთი ჟურნალისტის „ოფიციალურ პოლიტიკაში“ წასვლა არ მიკვირს. ჟურნალისტები პოლიტიკას ისედაც ვქმნით, თუმცა პოლიტიკაში არასოდეს წავსულვარ და მიმაჩნია, რომ იქ ჩემი ადგილი არ არის. მწყინს, როცა ვიგებ, ჩემი მეგობრები და კოლეგები პოლიტიკაში მიდიან, მაგრამ რას ვიზამთ?! არც ის მომწონს, ფიასკოის მერე, პოლიტიკიდან უკან, ჟურნალისტიკაში რომ ბრუნდებიან. თუ წავედი, მერე უკან აღარ დავბრუნდები! ისეთი ჟურნალისტებიც მახსოვს, პოლიტიკიდან უკან მობრუნებულან, საინფორმაციო სამსახურის უფროსები გამხდარან და თან პრეტენზია აქვთ, ობიექტურები ვართო. აი, ბიძინას რა უნდა ჟურნალისტიკაში, ნამდვილად არ ვიცი. ეს ფენომენი ვერ ამოვხსენი. ალბათ, მის გადაცემას „ჯირყვნაი საკვირველი“ ერქმევა.

**— ნაციონალები ივანიშვილის გადაცემაში არ მივლენ, საკუთარი გუნდის დატუქსვას კი გადაცემა რად უნდა?**

— ალბათ, ეს იქნება ოფიციალური ჯირყვნა ეკრანებიდან.

**— საუბარი არჩევნებით გავაგრძელოთ — სკანდალურ რეკლამაზე, სადაც სხვადასხვა კომპანია არჩევნებზე მისვლის სანაცვლოდ, ფასდაკლებებს გვთავაზობდა, განაცხადეთ, შესაძლოა, ევროპარლამენტის პირველივე სხდომაზე ეს ამომრჩევლის მოსყიდვად შეფასდესო. საქმე მართლა ასე სერიოზულადაა?**

— ჯერ ერთი, ის უნდა გავარკვიოთ, ამერიკულ დემოკრატიას ვაშენებთ თუ ევროპულს, რადგან ბევრი რამ, რაც აშშ-ში დაშვებულია, ევროპაში აკრძალულია. ევროპულ კანონმდებლობაში პირდაპირაა მითითებული, რომ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მთავრობას შეუძლია მსგავსი სოციალური რეკლამების გაკეთება. ე.წ. ბრიუსელის დირექტივების მიხედვით, მსგავსი ტიპის მოწოდება ამომრჩევლის მოსყიდვად განიხილება. ევროპაში Googl-საც კი აუკრძალეს ასეთი რეკლამების სოციალურ ქსელებში განთავსება. შესაძლოა, ეს ჩვენს მთავრობას ნაციონალურმა მოძრაობამ გაუკეთა და თუ ეს ნაციონალების პროვოკაციაა, დარწმუნებული ვარ, ამ თემაზე მაილები ევროპაში უკვე გაგზავნილი იქნება. მერე, ამ ყველაფერს ააფრიალებენ და „ოცნებას“ შარს მოსდებენ, ქვეყანა კი დაზარალდება. უბედურება ისაა, რომ ყველაფერ ამას ჩვენი მთავრობის წარმომადგენლების აღფრთოვანებული ყიჟინა მოჰყვა. ღმერთმა ქნას, ასე არ მოხდეს, მაგრამ ყველაფერი ძალიან ცუდად მოგვიტრიალდება. ამაზე, შესაძლოა, ევროპამ ყვითელი ბარათი გვიჩვენოს!

ზოგადად კი, არჩევნები ცუდად არ ჩატარებულა, მაგრამ აქტივობა ძალიან დაბალი იყო. დადებითად ვაფასებ ნინო ბურჯანაძის პარტიისა და პატრიოტთა ალიანსის მიერ ბარიერის გადალახვას. შესაძლოა, სუბიექტური ვარ, მაგრამ პატრიოტთა ალიანსს მეტი რესურსი რომ ჰქონოდა და უკვე კვალიფიციური სუბიექტი ყოფილიყო, უკეთეს შედეგს აჩვენებდა. „პატრიოტების“ გამარჯვება ჩემთვის სიურპრიზი მაინც არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ არც პარტიასა და არც ტელევიზიას დაფინანსება არ აქვს და ვხუმრობ ხოლმე, ეს ტელევიზია სულიწმინდის მადლით არსებობს-მეთქი. ისე, ჩვენს მთავრობას ყველაზე მეტად იმის გამო ვაკრიტიკებდი, რომ თბილისის მერად ისეთი კანდიდატი ვერ შეარჩია, ვისი პერსონაც არჩევნებზე ხალხს მოიყვანდა.

**— ასეთი ვინ უნდა ყოფილიყო?**

— არ ვიცი, მაგრამ ბევრი სხვა კანდიდატის შერჩევა შეიძლებოდა. დავით ნარმანიას საკუთარმა ოჯახმა თუ მისცა ხმა, ეგეც კარგია, თუმცა ისიც გასარკვევია, რა ხდება — ვიცი, მისი ოჯახიდან ზოგიერთმა ხმას ნაციონალებს მისცა.

**— კონკრეტულად ვინ, ან ეს საიდან იცით?**

— ზუგდიდში ბევრია ასეთი — ისინი ხმას „ოცნების“ წინააღმდეგ აძლევდნენ.

**— თქვენს მეგობარ ირაკლი ოქრუაშვილზეც გკითხავთ, რომელთან ერთადაც ფრანგულ კრუასანებს მიირთმევდით — პოლიტიკაში დაბრუნების მცდელობა და არჩევნებში მონაწილეობა, მისი ბეგრაუნდიდან გამომდინარე, გამართლებულად მიგაჩნიათ?**

— სუბიექტური ვიქნები, რადგან ირაკლი ჩემი დიდი ხნის მეგობარი და ჩემი შვილის ნათლიაა. თუკი სხვებს აქვთ პოლიტიკაში ყოფნის უფლება, მაშინ ირაკლის რატომ უნდა ავუკრძალოთ?

**— ამბობთ, ოქრუაშვილის მიმართ სუბიექტური ვარ, პატრიოტთა ალიანსის მიმართ მიმართ სუბიექტური ვარო და ტელევიზიებს თქვენთან თანამშრომლობა იქნებ, სწორედ ამიტომ არ უნდათ?**

— ერთია, როცა ინტერვიუს ვაძლევ და ვარ სუბიექტი გიორგი ფოფხაძე, მაგრამ მეორეა, როცა საქმე სამსახურს ეხება და რეპორტაჟს ვწერ, მსგავსი რამ გამორიცხულია. ჩემი პოლიტიკური აქტივობა პროფესიულს ხელს არასოდეს უშლის.

რაც შეეხება არჩევნებს, ეს დაბალი აქტივობა სწორედ ამ პერსონიდან, დავით ნარმანიადანაც გამომდინარეობდა. კარგი იქნებოდა, მერად თუნდაც თინა ხიდაშელი დაესახელებინათ — მისი კანდიდატურა სხვა პარტიის მხარდამჭერების აქტივობასაც გამოიწვევდა.

**— ნაციონალები ცხელ შემოდგომას გვპირდებიან, ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ აქციებს იწყებს, „ოცნება“ კი ე.წ. მორატორიუმის დასრულების შემდეგ, „დაჭერებს“ აანონსებს. ბატონო გიორგი, როგორ ფიქრობთ, ახალ პოლიტიკურ სეზონზე რა მოხდება?**

— ასეა თუ ისე, საქართველო იქამდე მივიდა, მთავრობები არჩევნების გზით შეიცვალოს. დარწმუნებული ვარ, ნაციონალები სერიოზულად ამზადებენ „ქართულ მაიდანს“. ეს მათი მხარდამჭერების განცხადებებიდანაც ჩანს. ყველაფერი ეს 90-იან წლებში უკვე გამოვიარეთ და თუ ახლაც ამ გზაზე ვდგავართ, მაშინ რომელი ევროპისკენ მივდივართ — აფრიკის ჩამორჩენილი ქვეყანა ვყოფილვართ, სადაც სამხედრო გადატრიალება წელიწადში 5-ჯერ ხდება.

ᲙᲣᲚᲣᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

# მარკირებული თითებისა და 20%-იანი ფასდაკლების სკანდალის უცნობი დეტალები

## ნაციონალური საბოტაჟის მორიგი კრახი თუ ხელისუფლების არასწორად დაგეგმილი პიარი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე, ტელევიზიებში საინტერესო ვიდეოკლიპი გამოჩნდა, რომელიც იუწყებოდა, რომ, თუკი 12 ივლისის არჩევნებში მიიღებდით მონაწილეობას, მარკირებული თითის წყალობით, რამდენიმე ბიზნესკომპანიაში 20-22%-იან ფასდაკლებას მიიღებდით. ამ კლიპს არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა და ცალკეულმა ექსპერტებმა ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობადაც კი შეაფასეს, თუმცა ფაქტია: მარკეტინგული თვალსაზრისით, მართლაც, საინტერესო ინიციატივა იყო.**

უდავოა, კლიპი ბიზნესმენებმა სამოქალაქო და სოციალურ აქტივობაზე გათვალეს და ამომრჩევლები, მარკირებული თითის საშუალებით, 20%-იან ფასდაკლებას მიიღებდნენ მაგალითად, „მაკდონალდსა“ და „ვენდისში“, 22%-იან ფასდაკლებას აფთიაქებში „პსპ“, „ავერსსა“ და „ჯიპისი“-ში, 15%-იან ფასდაკლებას „გუდვილსა“ და „სმარტში“, ასევე 5-თეთრიან ფასდაკლებას „გალფსა“ და „ვისოლში“.

არავინ იცის, ვინ დაუკვეთა ან გადაიღო ეს სარეკლამო რგოლი. სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, ისინი სარეკლამო კომპანია „მედია პორტს“ დაუკავშირდნენ, რომელმაც ტელევიზიებს რგოლის განთავსება დაუკვეთა. კომპანიის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მათთან უკვე დამზადებული რგოლი მიიტანეს და არ იციან, ვინაა დამკვეთი. სკანდალი ხუთშაბათს, 10 ივლისს მას შემდეგ აგორდა, რაც ფარმაცევტული კომპანია „ჯიპისის“ დირექტორმა, დავით კილაძემ განაცხადა, რომ საარჩევნო ფასდაკლებების აქციაში ჩართვაზე, საქართველოს ბიზნესასოციაციისთვის თანხმობა არ მიუცია.

„ვერსია“ საქართველოს ბიზნესასოციაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **მარიკა სპარსიაშვილს** დაუკავშირდა, რომელმაც აღნიშნა, რომ საარჩევნო ფასდაკლებების იდეა ბიზნესასოციაციას არ ეკუთვნის: **„საქართველოს ბიზნესასოციაცია ამომრჩეველთა აქტივობის წამახალისებელი ინიციატივის ავტორობას არ ადასტურებს. საქართველოს ბიზნესასოციაციის აზრით, შესაძლოა, სამოქალაქო აქტივობის წამახალისებელი ფასდაკლებების აქცია ამომრჩევლისთვის საინტერესო იყოს, თუმცა ასოციაცია ცალსახად აცხადებს, რომ ამ იდეის ავტორი ან ინიციატორი არ არის. მსგავსი წამახალისებელი აქციების განხორციელება მხოლოდ კომპანიების გადასაწყვეტია და ისიც გასათვალისწინებელია, რომ აქციაში ჩართული კომპანიებიდან რამდენიმე საქართველოს ბიზნესასოციაციის წევრი არაა. ბიზნესასოციაცია აპოლიტიკური, არაკომერციული ორგანიზაციაა და მსგავსი აქციების განხორციელება ან დაგეგმვა მის მიზნებსა და ამოცანებში არ შედის“.**

„გუდვილის“, „გალფისა“ და „ავერსის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამ ტიპის სარეკლამო რგოლის დამზადება, უშუალოდ, ბიზნესკომპანიების იდეა იყო და ამით ბიზნესმენებმა სოლიდარობა გამოხატეს, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურში იმაზე მეტი ამომრჩეველი მისულიყო, ვიდრე პირველ ტურში მივიდა, თუმცა „მაკდონალდსის“ დირექტორის, თენგიზ კაპანაძის განცხადებით, საარჩევნო კლიპის იდეა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეკუთვნოდა. თენგიზ კაპანაძეს იმავე დღეს, 10 ივლისს გამოეხმაურა ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესსპიკერი **ეკა აზარაშვილი** რომელმაც ამ განცხადებას სიცრუე უწოდა: **„რასაც „მაკდონალდსის“ დირექტორი ამბობს, ნამდვილად უარვყოფთ, რადგან მსგავსი იდეა ცესკო-ს არ ეკუთვნის. ამ კლიპთან შეხება არ გვქონია და ჩვენი არც იდეაა. რაც შეეხება საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას, ეს კლიპი კანონს არ არღვევს“.**

*დასასრული მე-6 გვერდზე*

# თბილისის გამწვანებით „მოტეხილი“ მილიონები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„ვერსია“ განაგრძობს იმ მასალების გამოქვეყნებას, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მთავარ პროკურატურას გადასცა. სავარაუდოდ, ამ მასალების გამო, თბილისის ექსმერს, გიგი უგულავას ბრალი დაუმძიმდება. ამჯერად, თბილისის მერიის მიერ 2009-2011 წლებში ქალაქის გამწვანების პროგრამების ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტს გთავაზობთ. თბილისის მთავრობის დადგენილებების საფუძველზე, დედაქალაქის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურების წერილების შესაბამისად, ქალაქის გამწვანების ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან, არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირს (ააიპ) „თბილისის განვითარების ფონდს“, ააიპ „საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღსა“ და შპს „თბილისის პარკებს“ 2010-2011 წლებში სხვადასხვა კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად 1 532 900 ლარი გადაურიცხეს. ამ თანხიდან ყველაზე სოლიდური — 1 200 000 ლარი ააიპ „თბილისის განვითარების ფონდს“ ხვდა. გადარიცხული თანხები გატარებულია და ნაჩვენებია ქალაქგამწვანების ღონისძიებების საკასო ხარჯებში, მაგრამ ეს თანხა, პრაქტიკულად, ააიპ-ებმა და შპს-ებმა გახარჯეს, რის გამოც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორებმა ამ ხარჯების აუდიტი ვერ განახორციელეს.**

## აუდიტის სახელმწიფო სამსახურის ახალი მასალები

### დარღვევები ქალაქის გამწვანებაში

2009-2011 წლებში, თბილისის გამწვანების ღონისძიებებზე, დედაქალაქის ბიუჯეტით, 42 938 900 ლარი განისაზღვრა. ამ პერიოდში ბიუჯეტში 61 ცვლილება განხორციელდა და გამწვანების ღონისძიებებისთვის საჭირო თანხაც 30 162 800 ლარამდე შემცირდა. 2009 წელს, თბილისის გამწვანების პროგრამაზე დამტკიცებული ბიუჯეტი 17 000 000 ლარით განისაზღვრა, ცვლილებების შემდეგ კი 6 186 600 ლარამდე შემცირდა. 2009-2011 წლებში გამწვანების ღონისძიებებზე 481 შესყიდვა განხორციელდა, მათ შორის, ტენდერის საშუალებით — 243 (მთლიანი შესყიდვების 51%), ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით — 174 (36%), გამარტივებული შესყიდვით — 7 (1%), ფასთა კოტირებით — 41 (8%) და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით — 16 შესყიდვა (3%).

2008 წელს, ჯორჯ ბუშის ქუჩიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე გზის გამყოფი ზოლების სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა განხორციელდა, რომელიც შპს „ნოვამ“, შპს „წყალკანალრემშენმა“, ი/მ „ალექსანდრე გუგულაშვილი — მეტეხმა“, შპს „პარმამ“ და შპს „აგრონოვაციამ“ შეასრულეს. ამ სამუშაოებზე, ჯამში, 3 277 900 ლარი დაიხარჯა, მათ შორის, განაპირა მარცხენა და მარჯვენა ზოლებში — 2 585 400, შუა გამყოფ ზოლში კი, — 692 500 ლარი.

თბილისის მერიის მიერ გაწეული ხარჯის — 2 585 400 ლარის მიუხედავად, განაპირა ზოლებზე სარწყავი სისტემა აუდიტის პერიოდში არ ფუნქციონირებდა, რაც დასტურდება მერიის თანამშრომელთა განმარტებებით, ვიზუალური დათვალიერებითა და სხვა დოკუმენტებით. აუდიტით დადგინდა, რომ 2009-2011 წლებში, აღნიშნული ტერიტორიის მორწყვა მოვლა-პატრონობის ღონისძიებების ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო, თუმცა ამისთვის საჭირო ხარჯები არ ფიქსირდება. სარწყავი სისტემის გამოუყენებლობის მიზეზად აუდიტები, სავარაუდოდ, ამ სისტემის უხარისხოდ დამონტაჟებას, დატაცების ან დაზიანების ფაქტებს ასახელებენ, თუმცა კონკრეტული მიზეზი იმის გამო ვერ დადგინდა, რომ სახელმწიფო აუდიტორებს თბილისის მერიაში სარწყავი სისტემის გამოუყენებლობის ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ წარუდგინეს.

დიღმის ტყე-პარკისა და ტექსელის სახელობის სკვერში სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოებზე შპს „გრდემლთან“, 2007 წლის ნოემბერში, გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული 458 100 ლარის სამუშაოებიდან შესრულდა და ანაზღაურდა 68 000 ლარის სამუშაოები, თუმცა მერიამ სახელმწიფო აუდიტორებს ვერც ამ სამუშაოების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები გადასცა.

2010 წელს, თბილისის მერიამ ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრისა და „რკინიგზელთა სახლის“ უკან მდებარე სკვერის მოწყობა-რეკონსტრუქციის სამუშაოების შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა. ტენდერის სავარაუდო ღირებულება 1 549 600 ლარი იყო, რომელშიც შპს „ბაზალტ იმპულს 2008“-მ გაიმარჯვა. თავდაპირველად, ყველაზე დაბალი ფასი — 1 026 700 ლარი ტენდერში მონაწილე შპს „ალიანსმა“ წარადგინა, ხოლო შპს „ბაზალტი იმპულს 2008“-მ 1 107 100 ლარი დააფიქსირა. ვაჭრობის მომდევნო ეტაპზე, პრეტენდენტებმა ფასები შეამცირეს და საბოლოოდ, ასე დააფიქსირეს: შპს „ალიანსი“ — 1 000 000 ლარი, შპს „ბაზალტი იმპულსი 2008“ კი — 912 000 ლარი. შპს „ბაზალტი იმპულსი 2008“-ს, შპს „ალიანსთან“ შედარებით, ძირითად სამუშაოებში შედარებით მაღალი ფასები ჰქონდა წარდგენილი, მაგრამ ტენდერში იმიტომ გაიმარჯვა, რომ რიგ სამუშაოებში, „ალიანსთან“ შედარებით, არარეალურად დაბალი ფასები დააფიქსირა. მაგალითად, ბილიკების ბეჭდური ბეტონით მოწყობის სამუშაოებზე, რომლის სავარაუდო ღირებულება 271 800 ლარი იყო, ვაჭრობისი დროს, „ალიანსმა“ 208 900 ლარი, „ბაზალტი იმპულსი 2008“-მ კი 50 300 ლარი დააფიქსირა, რაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე ხუთჯერ ნაკლები ფასი იყო!

თბილისის მერიასა და „ბაზლატი იმპულსი 2008“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვიდან, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით, პარკის ცალკე მდგომი სკამების, დეკორატიული სანაგვე ურნების, წყლის დასალევი შადრევნების, დეკორატიული ქოთნებისა და საბავშვო მოედნის სათამაშო ინვენტარისთვის განკუთვნილი, 97 800 ლარის ღირებულების შეძენა-მონტაჟის სამუშაოები ამოიღეს. 2010 წლის დეკემბერში, მერიის მიერ აღნიშნული საქონლის შეძენაზე განმეორებით გამოცხადებულ ტენდერში სავარაუდო ღირებულება 319 900 ლარით განისაზღვრა. ტენდერის საშუალებით, ოღონდ კონკურენციის გარეშე, აღნიშნული საქონელი თბილისის მერიას 100%-იანი წინასწარი ანგარიშსწორებით ანუ 303 800 ლარად, შპს „ლენდსკეიპ.ჯე“-მ მიაწოდა.

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ შპს „ბაზალტი იმპულსი 2008“-მ, კორექტირებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული 823 400 ლარის სამუშაოებიდან, ვადების დარღვევით, მხოლოდ 97 000 ლარის ღირებულების სამუშაოები შეასრულა. ამასთან, კომპანიამ 248 300 ლარის ისეთი სახის სამუშაოები აღარ შეასრულა, რომლებზეც ტენდერში ვაჭრობის დროს, კონკურენტთან შედარებით, დაბალი ფასები დააფიქსირა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის გამო, შპს „ბაზალტი იმპულსი 2008“-ს თბილისის



# მარკირებული თითებისა და 20%-იანი ფასდაკლების სკანდალის უცნობი დეტალები

*მე-5 გვერდიდან*

პარასკევს, 11 ივლისს, უკვე ცნობილი იყო, რომ არც ბიზნესასოციაცია და არც ცესკო საარჩევნო ფასდაკლებებთან დაკავშირებული კლიპის დამკვეთ-ავტორი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, „ჯიპისის“ დირექტორის, დავით კილაძის სკანდალურმა განცხადებამ აქტუალობა მაინც არ დაკარგა, რადგან, თუკი ბიზნესასოციაციას ამ კლიპთან არაფერი აკავშირებდა, მაშ ვინ შესთავაზა დავით კილაძეს კლიპში მონაწილეობა? „ვერსია“ ფარმაცევტულ კომპანია „ჯიპისის“ მარკეტინგის სამსახურის თანამშრომელს, გიორგი ჩლაიძეს დაუკავშირდა. ცხადია, დავით კილაძესთან გვინდოდა გასაუბრება, მაგრამ გიორგი ჩლაიძემ აგვიხსნა, რომ უცხოელი სტუმრები ჰყავდა და კითხვების გადაგზავნა გვთხოვა. კითხვები გადავუგზავნეთ, მაგრამ ამაოდ — პასუხი არ მიგვიღია, სამაგიეროდ, იმავე საღამოს ანუ 11 ივლისს, დავით კილაძემ სრულიად მოულოდნელად პოზიცია შეცვალა და საარჩევნო ფასდაკლებების აქციაში მონაწილეობა დაადასტურა.

რა მოხდა სინამდვილეში ან რა მიზანი ამოძრავებდა „ჯიპისის“ დირექტორს? „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, სახეზე ნაციონალური საბოტაჟის მცდელობა იყო, რისთვისაც მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ ისევ საკუთარი „საყრდენი“ — ფარმაცევტული კომპანია გამოიყენა. წყაროს ინფორმაციით, ნაციონალებს რამდენიმე და მარტივი გათვლა ჰქონდათ: პირველი — იდეის დისკრედიტაცია, მეორე — „წერტილოვანი დარტყმა“ სხვადასხვა შესაძლო დამკვეთზე და მესამე — ეჭვის მარცვლის ჩაგდება ამომრჩეველში, რადგან, თუკი მსხვილი კომპანია აცხადებს, რომ აქციაში არ მონაწილეობს, რა გარანტია მაქვს, რომ საარჩევნო ფასდაკლება რეალური იქნება? რატომ მაინცდამაინც „ჯიპისი“?

ფაქტია და ამაზე „ვერსიაც“ არაერთხელ წერდა, რომ ფარმაცევტული ბაზარი მონოპოლიურ კომპანიებს აქვთ გადანაწილებული, რომლებიც ერთმანეთთან კარტელურ შეთანხმებებსაც არ ერიდებიან. „ვერსია“ იმასაც წერდა, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე მოქმედებს კომპანია შპს „მედკაპიტალი“, რომლის 50%-იან წილს „ავერსი ფარმა“, მეორე 50%-იან წილს კი „პსპ ფარმა“ ფლობს. „პსპ ფარმას“ დამფუძნებელი პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი კახა ოქრიაშვილია, რომელიც 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბრამდე ნაციონალი იყო, „ავერსი ფარმა“ კი ძმების — პაატა და ნიკოლოზ კურტანიძეების საკუთრებაა.

„პსპ“-სა და „ავერსს“ შორის კავშირი გარკვეულია, მაგრამ „მედკაპიტალის“ ფუნქცია სააფთიაქო ქსელების მედიკამენტებით მომარაგებაცაა — ეს კომპანია მედიკამენტების იმპორტსაც ახორციელებს და სხვათა შორის, „ჯიპისი“-საც ამარაგებს. მხოლოდ საქართველოში შეიძლება, მთავარი კონკურენტი შენი ძირითადი პარტნიორი და მომწოდებელი იყოს. ამას ბიზნესის „ნაციონალურად კეთებასაც“ უწოდებენ, რაც წინა ხელისუფლების ცხრაწლიანი მმართველობის ეკონომიკური ლაიტმოტივი იყო. აქედან გამომდინარე, ფარმაცევტული კომპანია, რომელიც სხვადასხვა დროსა და ვითარებაში, ნაციონალური მოძრაობის სალაროს საკმაოდ სოლიდურ თანხას სწირავდა, იგივე ნაციონალებს საბოტაჟის მცდელობაზე უარს რატომ ეტყოდა?

დავით კილაძეს „გამბედაობა“, უარი ეთქვა საარჩევნო კლიპში მონაწილეობაზე, მხოლოდ ერთი დღე ეყო, მეორე დღის ბოლოს კი, წინა დღეს ნათქვამი უარყო და ფასდაკლების აქციაში მონაწილეობაც დაადასტურა. დროის მოკლე მონაკვეთში „ჯიპისის“ დირექტორის ორმა სხვადასხვა განცხადებამ სხვა ეჭვიც გააჩინა, რომ ეს უცნაური, მაგრამ მარკეტინგულად სწორად გათვლილი კლიპი სწორედ ხელისუფლების დაკვეთით შეიქმნა. კონფიდენციალური ინფორმაციით, „ქართულ ოცნებას“ საკმაოდ გამოცდილი მარკეტოლოგები ჰყავს დაქირავებული და შესაძლოა, ეს კლიპი სწორედ მათ დაუკვეთეს.

მნიშვნელობა არ აქვს, ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა იქნება თუ „ქართული ოცნება“, ბიზნესმენები პოლიტიკოსების წინაშე „კუდის ქიცინს“ მაინც არ იშლიან. გამორიცხული არ არის, პარასკევს საღამოს, „ჯიპისის“ დირექტორს დაურეკეს და „აზრზე მოსვლა“ შეახსენეს, ან ისე, სხვათა შორის, კლიპის შემქმნელის ვინაობაც გაუმჟღავნეს. ჰოდა, რა დროს ნაციონალური საბოტაჟი ან მაღალი მატერიების დევნა იყო, როცა შესაძლოა, ბიზნესი ნაცარტუტად ქცეულიყო! მართალია, ბიზნესის წნეხისგან გათავისუფლება „ქართული ოცნების“ დამსახურებაა, მაგრამ რა გარანტია ჰქონდა „ჯიპისის“ დირექტორს, რომ რამდენიმე დღეში შემოსავლების სამსახური არ ჩაუჯდებოდა ან ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური არ ამოუქექავდა ძველ ცოდვებს, რისგანაც დაზღვეული ერთი კომპანიაც არ არის?!

გაურკვევლობას ბოლო მოეღო, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ამომრჩეველთა დიდი აქტივობა ნამდვილად არ დაფიქსირებულა. მარკირებული თითებით ფასდაკლების აქციამაც მშვიდად, ექსცესების გარეშე ჩაიარა. ყველაზე მეტად, „ვისოლისა“ და „გალფის“ მომხმარებლები აქტიურობდნენ, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საწვავის თუნდაც 5-10 თეთრით გაიაფებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

„ვერსიის“ კიდევ ერთი წყაროს ინფორმაციით, კლიპის შემქმნელებმა და დამკვეთებმა სიტუაცია „გატესტეს“, საარჩევნო კვირაში გამოჩენილი კლიპი ამომრჩეველზე, პრაქტიკულად, ისეთ გავლენას ვერ მოახდენდა, მისი აქტივობა გამოეწვია, მაგრამ კლიპმა მაინც „იმუშავა“. ბოლოს და ბოლოს, დამკვეთები სიტუაციას სერიოზულად გააანალიზებდნენ, რომ სამომავლოდ, სხვა არჩევნებზე ახლა გამოვლენილი ხარვეზები აღარ განმეორდეს.

რაც შეეხება ცალკეული ექსპერტების მოსაზრებას, რომ საარჩევნო ფასდაკლებების კლიპის საშუალებით მავანნი ამომრჩევლების მოსყიდვას ცდილობდნენ, ჯერ ერთი, კლიპში არ ჩანს, რომ ამომრჩეველს კონკრეტული ციფრი უნდა შემოეხაზა და ფასდაკლებას მხოლოდ ასე მიიღებდა. მეორეც, ამ ტიპის, ოღონდ ოდნავ განსხვავებული ბიზნესშეთავაზება 2008 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნების დროსაც დაფიქსირდა. მაშინ, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატები — ჯონ მაკკეინი და ბარაკ ობამა წინასაარჩევნო მარათონში ჩაებნენ, „სტარბაქსმა“ ასეთი აქცია მოიფიქრა: ვინც არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა, მარკირებული თითით „სტარბაქსის“ ქსელში ყავას უფასოდ მიართმევდნენ. თუკი პროდუქციის უფასოდ შეთავაზება ამერიკელი ამომრჩევლის მოსყიდვა არ ყოფილა, სხვადასხვა კომპანიაში გარკვეული ფასდაკლებით სარგებლობა, ქართველი ამომრჩევლის მოსყიდვად რატომ უნდა ჩაითვალოს?

# უგულავას ბრალი დაუმძიმდება?!

მერიამ ხელშეკრულება ცალმხრივად შეუწყვიტა და ვადაგადაცილებული დღეების გამო, პირგასამტეხლოს სახით, 23 500 ლარის გადახდა დააკისრა, თუმცა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულების ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, დედაქალაქის მერიას უფლება ჰქონდა, ამ კომპანიისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობის ჯარიმაც დაეკისრებინა, რაც მთლიანი ღირებულებიდან გამომდინარე, 24 700 ლარს შეადგენდა.

## ტენდერების არაგონივრულად მაღალი ფასები

2009-2011 წლებში, ქალაქგამწვანების ღონისძიებებისთვის, სხვადასხვა სახის მომსახურებასა და მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვების დროს, მერიის შესაბამისი სამსახურები დადგენილი სავარაუდო ღირებულებების გამოთვლისას, შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ფასებს ყურადღებას არ აქცევდნენ. თბილისის მერიის მიერ, სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი საბაჟო მონაცემების შესაბამისად, მაღალი ფასნამატების მიხედვით, აღსანიშნავია ექვსი კომპანია, რომელთანაც სხვადასხვა სახის მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვაზე 14 ხელშეკრულება გაფორმდა. ამ ხელშეკრულებების მიხედვით, კომპანიებმა თბილისის მერიას მიაწოდა საქონელი, რომელთა ღირებულება, საბაზრო ფასებთან შედარებით, 50%-დან 150%-მდე მეტი იყო.

2009 წელს, გარე განათების ბოძებზე, ქოთნის ყვავილების მოწყობის, ცენტრალურ მაგისტრალებზე სპეციალური საყვავილე კონსტრუქციების განთავსებისა და მათი შემდგომი მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვაზე, შპს „ევროპლანტ ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მერიისთვის მიწოდებული საყვავილე კონსტრუქციების ღირებულება 166 700 ლარი იყო. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ შპს „ევროპლანტ ჯორჯიამ“ საყვავილე კონსტრუქციები შპს „მლ იმპორტისგან“ 133 500 ლარად შეიძინა. თავის მხრივ, შპს „მლ იმპორტმა“ კი ეს კონსტრუქციები ჩინეთის რესპუბლიკიდან 99 600 ლარად შემოიტანა. საბაჟო დოკუმენტების მიხედვით, ორივე კომპანიის საერთო ფასნამატმა 67 100 ლარი შეადგინა, ორივე კომპანიის მოგება კი, ჯამში, 67% იყო.

2010-2011 წლებში, საბავშვო მოედნებისთვის საჭირო სათამაშო მოწყობილობებისა და საბაღე ინვენტარის ძირითადი მომწოდებელი შპს „ლენდსკეიპ.ჯე“ იყო, რომლისგანაც თბილისის მერიამ, 50%-დან 100%-მდე წინასწარი ანგარიშსწორებით, 1 228 200 ლარის ღირებულების ინვენტარი და მოწყობილობა შეისყიდა. შესასყიდი საქონლის სავარაუდო ღირებულება — 1 127 100 ლარი ტენდერში მხოლოდ 3.1%-ით ანუ 34 400 ლარით შემცირდა. ამ შესყიდვების ფარგლებში, „მზიურის“ პარკის ტერიტორიაზე, საპარკე სკამების მოწყობა-მონტაჟის სამუშაოებზე, 2011 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით, კომპანიამ მერიას 596 500 ლარის ღირებულების, 6 დასახელების საპარკე სკამი მიაწოდა. საბაჟო მონაცემების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტებმა დაადგინეს, რომ ამ სკამების შესყიდვაზე შპს „ლენდსკეიპ. ჯე“-მ 371 700 ლარი გადაიხადა, კომპანიის ფასნამატი კი 224 800 ლარი იყო.

2011 წლის აგვისტოში, შპს „ლენდსკეიპ.ჯე“-სა და თბილისის მერიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, კომპანიამ 2011 წლის დეკემბერში, მერიას 60 900 ლარის ღირებულების, სხვადასხვა სახის საბავშვო ატრაქციონი მიაწოდა, რომელთა საბაზრო ფასი მხოლოდ 35 500 ლარი იყო, კომპანიის ფასნამატმა კი 25 400 ლარი შეადგინა. 2010 წლის აპრილში გაფორმებული ხელშეკრულებით, ამავე კომპანიამ სათამაშო მოწყობილობები მერიას 58 400 ლარად მიაწოდა. საბაჟო დოკუმენტებით კი, მათი ღირებულება 42 200 ლარი იყო და შესაბამისად, „ლენდსკეიპ.ჯე“-მ 16 200 ლარით იხეირა.

2009 წლის ნოემბერში, თბილისის მერიასა და შპს „კავკასპაკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით, გამწვანების ღონისძიებების მუხლით, 2009 წლის დეკემბერში, ფასთა კოტირებისა და ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, გიგი უგულავას უწყებამ 184 500 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საახალწლო დეკორაციები შეისყიდა. რეალურად კი, საბაჟო დოკუმენტების მიხედვით, ამ დეკორაციებში კომპანიამ 132 600 ლარი გადაიხადა და 51 900 ლარით იხეირა.

2009-2011 წლებში, გამწვანების ღონისძიებებზე გამოცხადებული ტენდერებიდან, თბილისის მერიასა და შპს „გრინსერვისს“ შორის გაფორმებული 6 ხელშეკრულებით ირკვევა, რომ კომპანიამ მერიას საქონელი 50%-დან 150%მდე ფასნამატით მიაწოდა. 662 000 ლარის საქონლის ფასნატმა, ჯამში, 303 600 ლარი შეადგინა. 2009 წელს, „გრინსერვისმა“ თბილისის მერიას მცენარეები 75 900 ლარის ფასნამატით მიაწოდა, 2010 წელს კი — 79 500 ლარის ფასნამატით. 2011 წელს, ოთხ სხვადასხვა შემთხვევაში, „გრინსერვისმა“ მერიას დაუსაბუთებლად მაღალი ფასნამატით მიაწოდა საქონელი. კერძოდ, ტიტის ბოლქვები — 150%-იანი ფასნამატით, რულონური გაზონი — 114%-იანი, მცენარეები — 70%-იანი და ქოთნის ყვავილები — 61%-იანი ფასნამატით.

2011 წელს, „მზიურის“ პარკის ტერიტორიაზე, გარეგანათების სანათების თანმდევი მომსახურებით შესყიდვაზე, მერიამ ხელშეკრულება შპს „ანგ და კომპანიას“ გაუფორმა, რომლის ღირებულება 447 900 ლარი იყო. ხელშეკრულება სხვადასხვა სამუშაოს მოიცავდა, მათ შორის, სანათების მიწოდებას. კომპანიამ აღნიშნული საქონელი მერიას 259 500 ლარად მიაწოდა, საბაჟო დოკუმენტების მიხედვით კი, „აბგ და კომპანიამ“ ეს სანათები 106 600 ლარად შეისყიდა ანუ ფასნატმა 152 900 ლარი შეადგინა.

## გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა

გამწვანების ღონისძიებებზე შესრულებული სამუშაოების 43% ქალაქის გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობაზე მოდის. ამ მიმართულებით რამდენიმე სახის სამუშაო შესრულდა, მათ შორის, ტერიტორიის დასუფთავება, მორწყვა, გათიბვა, გათიბულის შეგროვება და გატანა. 2009-2011 წლებში, ამ მიზნით, თბილისის მერიამ 12 578 900 ლარის ღირებულების მომსახურება შეისყიდა. გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობაზე გამოცხადებული ტენდერების ტექნიკური დოკუმენტაციის ურთიერთშედარებით, მოსავლელ ტერიტორიაზე შესასრულებელი სამუშაოების მოცულობასა და ინტენსივობაში მთელი რიგი განსხვავებები გამოვლინდა.

2010-2011 წლებში ჩატარებული ტენდერების მასალებში დაფიქსირებული, კონკრეტული ტერიტორიების ფართები და მოვლა-პატრონობის ჯერადობები 2009 წლის მონაცემებისგან განსხვავდება. მაგალითად, 2009 წელს, დიღმის ტყე-პარკის დასასუფთავებელ ფართად მითითებული იყო 185 000 კვადრატული მეტრი, 2010 წელს კი — 100 000 კვ.მ; 2009 წელს, დასუფთავების ინტენსივობა განსაზღვრული იყო ორ დღეში ერთხელ, 2010 წელს — 18 დღეში ერთხელ; ოქროყანის უბანზე, 2009 წელს, დასასუფთავებელ ფართად მინიშნებულია 150 000 კვ.მ, 2010 წელს კი — 68 000 კვ.მ.

2009-2011 წლებში, გამწვანების ღონისძიებებზე ჩატარებულ შესყიდვებში ერთ-ერთი მიმწოდებელი შპს „გრინსერვისი“ იყო. 2009 წელს, მერიის მიერ განხორციელებული 7 998 300 ლარის შესყიდვიდან, „გრინსერვისმა“ 1 596 800 ლარის საქონელი და მომსახურება მიაწოდა, რაც მთლიანი შესყიდვების 20% იყო. 2010 წელს, 18 827 300 ლარის შესყიდვებიდან, „გრინსერვისისა“ და მისი დამფუძნებლების მიერ, 2010 წლის ივნისში შექმნილმა „გრინსერვის პლუსმა“, 3 426 300 ლარის საქონელი და მომსახურება მიაწოდა. 2011 წელს განხორციელებული 11 174 500 ლარის შესყიდვებიდან, ტენდერზე 5 435 700 ლარით, გამარჯვებულად შპს „გრინსერვისი“ გამოცხადდა.

2010-2011 წლებში, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობაზე გამოცხადებულ 29-ლოტიან ტენდერში, რომლის სავარაუდო ღირებულება 4 619 800 ლარი იყო, 5 ლოტში გამარჯვებულად „გრინსერვისი“ გამოვლინდა, რომელმაც 2 166 700 ლარის ღირებულების სატენდერო წინადადება წარადგინა. მოვლა-პატრონობის მომსახურებაში გათვალისწინებული იყო ხე-მცენარეების მოსარწყავად საჭირო, 1 248 300 ლარის ღირებულების წყალი. მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, სახელმწიფო აუდიტებმა დაადგინეს, რომ კომპანიამ, მთლიანობაში, 1 179 300 ლარის სამუშაო შეასრულა. სახელშეკრულებო ღირებულება კი წყლის ღირებულების ხარჯზე შეამცირა — წყლის გამოუყენებლობის ფაქტები აეროპორტის გზაზე გამოვლინდა. არადა, ამ ტერიტორიაზე სარწყავი სისტემის გაუმართაობის შესახებ, მერიაში თავიდანვე ინფორმირებულები იყვნენ.

ამავე ხელშეკრულებით, აეროპორტის ტრასის შუა ზოლზე, 40 000 კვადრატული მეტრის ფართობის ტერიტორიის დასუფთავება, დაფოცხვა, ნაგვის შეგროვება და გატანა, 2010-2011 წლებში, თვეში რვაჯერ იყო გათვალისწინებული. 2011 წლის ბოლოს, იგივე კომპანიასთან, ანუ „გრინსერვისთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანალოგიური სამუშაოების შესრულება, 2012-2013 წლებში, ყოველდღიურადაა გათვალისწინებული. 2010-2011 წლებში, ამ ტერიტორიების დასუფთავების ღირებულება, ყოველწლიურად, 36 000 ლარით განისაზღვრა, 2012-2013 წლებში კი — 189 000 ლარით!

2009-2011 წლებში, თბილისის მერიის დაკვეთით, ქალაქის ტერიტორიაზე 5 065 ძირი ხეა მოჭრილი, გადაბელილ-ფორმირებულია 4 489 ძირი ხე, რისთვისაც 790 000 ლარი გაიხარჯა. ამავე პერიოდში, მერიასთან ერთად, იგივე სამუშაოებს თბილისის რაიონული გამგეობებიც ასრულებდნენ, რომლებმაც 4 376 ლარად, 13 096 ძირი ხე მოჭრეს. მერიისა და გამგეობების მიერ განხორციელებული შესყიდვების გარდა, ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების განცხადებების საფუძველზე, თბილისის მერიამ ნებართვა გასცა 1 932 ძირი ხე-მცენარის მოჭრაზე. ქალაქის რიგ უბნებში, აღმაშენებლის გამზირსა და რიყის ტერიტორიაზე, ხეების ჭრას ააიპ „თბილისის განვითარების ფონდიც“ ახორციელებდა, მაგრამ სახელმწიფო აუდიტორებს ამ ფონდის მიერ მოჭრილი ხეების შესახებ ინფორმაცია ვერ წარუდგინეს.

2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 აგვისტომდე, სხვადასხვა უცხოური და ქართული კომპანიების მიმართვების საფუძველზე, მშენებლობის მიზეზით, დედაქალაქში 597 ძირი ხე მოჭრეს. მერიამ ნებართვა გასცა 539 ძირ ავარიული და ზეხმელი ხე-მცენარეის მოჭრაზე. მშენებლობის მიზეზით მოჭრილი ხეების ზიანის ანაზღაურება მერიას არ მოუთხოვია; ავარიული და ზეხმელი მცენარეების მოჭრისთვის კი, 2009-2011 წლებში, საკომპენსაციო ღირებულების თანხა მხოლოდ 32 ძირზე მოითხოვა. თბილისის მერიამ ავარიული და ზეხმელი ხეების მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტები აუდიტორებს ვერ წარუდგინა.

2011 წლის 1 აგვისტოდან 2012 წლის 1 იანვრამდე, მშენებლობის მიზნით, ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებს 874 ძირი ხის მოჭრის ნებართვაზე 96 800 ლარის ოდენობის საკომპენსაციო გადასახადი უნდა გადაეხადათ. თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ ორგანიზაციებმა და ფიზიკურმა პირებმა მხოლოდ 46 800 ლარის კომპენსაცია გადაიხადეს, დარჩენილი 49 900 ლარი კი გადახდილი არ არის.

თბილისის რაიონებიდან მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ მერიასთან შედარებით, რაიონების მიერ ერთი ხის მოჭრის, გადაბელვისა და ფორმირების სამუშაოების შესყიდვისას გაწეული ხარჯი ორჯერ და სამჯერ აღემატება მერიის მიერ გადახდილ თანხას. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ამ მიზნით, თბილისის რაიონებმა 4 376 ლარის ღირებულების სამუშაოები შეისყიდეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, აუდიტის პერიოდში, მერიის მიერ წარდგენილი მონაცემებით დადგინდა, რომ შპს „მზიური აკვამ“ 29 ძირი ხის მოჭრაზე, 2011 წლის სექტემბერში გაცემული ნებართვის შესაბამისი საკომპენსაციო ღირებულება — 3 783 ლარი და მოქალაქე გ. ჯაფარიძემ, 2011 წლის სექტემბერში გაცემული ნებართვის შესაბამისი საკომპენსაციო ღირებულება — 1 050 ლარი მხოლოდ აუდიტის მიმდინარეობისას ანუ 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გადაიხადე!

2011 წელს, მერიისთვის მიწერილ წერილში, შპს „ლისი ფო“ ნებართვას 96 ძირი ზრდასრული, წიწვოვანი ხე-მცენარეების გადარგვაზე ითხოვდა. წერილის პასუხად, გამწვანების სამსახურმა გადარგვის ნაცვლად, ნებართვა ხეების მოჭრაზე გასცა. სანაცვლოდ, კომპანიას საკომპენსაციო თანხის — 21 600 ლარის გადახდა და საგაზაფხულო რგვის დროს, 500 ძირის ნერგის დარგვა დაეკისრა. აუდიტორული დასკვნით ირკვევა, რომ „ლისი ფომ“ საკომპენსაციო თანხა — 21 600 ლარი გადაიხადა, მაგრამ 500 ძირი ხის ნაცვლად, ამჟამად მხოლოდ 320 ძირია დარგული.

2009 წელს, შპს „ევროპლანტ ჯორჯიასა“ და შპს „კავკასპაკისგან“ თბილისის მერიამ 284 900 ლარის ღირებულების სფეროსებრი და კონუსის ფორმის, ტერასული საყვავილე კონსტრუქციები, ასევე, საახალწლო დეკორაციები (სახლები, ცხოველებისა და სხვადასხვა საგნის ფიგურები) შეისყიდა. ღირებულებებისა და მოხმარების ვადებიდან გამომდინარე, ეს კონსტრუქციები მრავალჯერადი გამოყენებისაა, რადგან ძირითად აქტივებს განეკუთვნება. მიუხედავად ამისა, თბილისის მერიამ ისინი მხოლოდ ერთჯერადად, 2009 წელს გამოიყენა.

# ქურდული გარჩევები რუსთავის №17 დაწესებულებაში და ზონის ჩასვრილი მაყურებელი

პატიმარი №0578

**როგორც ყველა ზონას, რუსთავის №17 დაწესებულებასაც ჰყავდა თავისი მაყურებელი, მაგრამ ერთი ეგ იყო, შესაძლებლობებზე დიდი ამბიციები ჰქონდა და ყველაში კონკურენტს ეძებდა. იმის გამო, რომ რამდენიმე ძველი ბიჭი ღიად დაუპირისპირდა, ზონაზე სერიოზული ჩხუბიც ხდებოდა და ყველაფერი იმით სრულდებოდა, რომ მეამბოხეები მეექვსე დაწესებულებაში, ე.წ. კრიტში მიჰყავდათ.**

— მომისმინე, ვანჩო, ეს სამი ძმაკაცი რაღაც არ მომწონს, სულ ერთად არიან, ვიღაცები რაღაცებს ეკითხებიან, ბედალაგებს (უპატრონო პატიმრები) ჩემი გვერდის ავლით რაღაცებს ჩუქნიან. მგონი, მაყურებლობა უნდათ და თავს დაიმარხავენ, — უთხრა ერთ დილით მაყურებელმა თანამოსაკნე ვანჩოს.

— არა, რას ამბობ, ჩვეულებრივი ბიჭები არიან, ამბობენ, ქუჩის ცხოვრებით ვცხოვრობთ, მაგრამ ქურდულში ბევრი რამე არ მოგვწონსო და შეეშვი, რა, მაყურებლობის ამბიცია ნაღდად არ აქვთ. თან ხომ იცი, არავის არაფერს უშავებენ და შეეშვი, — ურჩია ვანჩომ, მაგრამ მაყურებელი აფეთქდა.

— ქურდულს არ აღიარებენ, კაიბიჭობაზე აქვთ პრეტენზია და ამას ახლა ვიგებ? — ბოლო ხმაზე იღრიალა და დანარჩენი თანამოსაკნეებიც გააღვიძა.

— მაგათ არასდროს უთქვამთ, კაიბიჭები ვართო, არც სხოდკებს ესწრებიან, არც საერთოს განაწილებაში ერევიან და შეეშვი, რა. ჯიგარი, გულიანი ბიჭები არიან, ყველას უყვარს, ყველა პატივს სცემს, — ისევ ურჩიეს მაყურებელს, მაგრამ მას სხვა გეგმა ჰქონდა.

საღამოს, შვიდის ნახევარზე, ლევანის, გიასა და გოგას მაყურებლების კამერაში დაუძახეს. პირველი ლევანი შევიდა და კარშივე შედგა — კამერა დაახლოებით 30 კვადრატული მოცულობის იყო და 70-მდე პატიმარი შეკრებილიყო.

— რაღაც ხდება. მთელი ბლატატა აქ არის, ზონაც 10-15 წუთში დაიკეტება და ასეთ დროს ბაზრის დაწყება უცნაურია, — გადაულაპარაკა გოგამ გიას, ლევანმა კი პირდაპირ მაყურებელს ჰკითხა:

— რატომ დაგვიძახე?

— თქვენ, თურმე, ქურდულს არ აღიარებთ და მაინტერესებს, რატომ? — კბილებში გამოსცრა მაყურებელმა.

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქურდული რელიგია არ არის, რომ ვაღიარო; მეორე იმიტომ, რომ მე კაიბიჭი არ ვარ და არც ჩემს ძმაკაცებს აქვთ მაგის პრეტენზია; მესამეც, მაყურებელი შენ ხარ, ქურდულიც შენ უნდა იქადაგო და რამკებიც შენ უნდა ამტვრიო. მეტი თუ არაფერი გინდა, გავედით ჩვენ, — მშვიდად უთხრა ლევანმა და ამ დროს ყველაზე მოულოდნელი რამ მოხდა: მაყურებელმა ლევანს სილა გააწნა.

მოვლენები წამებში განვითარდა: ლევანმა მაყურებელს ისეთი დაარტყა, უკანალზე გააცურა, მერე ვიღაცამ დაიძახა, მაყურებელზე ხელი აწიესო და საკანში მყოფნი სამეულს დაერივნენ. რამდენიმე წუთში რუპორში გამყინავი ხმა გაისმა: „იწყება საღამოს შემოწმება, ყველა მსჯავრდებული შევიდეს საკანში!“

პატიმრები სამეულს შეეშვნენ, ისინი მძიმედ ადგნენ და თავის საკნისკენ გაემართნენ. გასვლისას, ლევანი მოტრიალდა და მიაძახა, ხვალ ვიბაზრებთ, ეს ასე არ დამთავრდებაო...

სახეზე არც ერთს არაფერი ეტყობოდა, მაგრამ სამივე სასტიკად იყო დაბეჟილი და მთელი სხეული სისხლნაჟღენთებით ჰქონდათ მოხატული. საღამოს, შემოწმების დროს, რეჟიმის უფროსი სამეულთან მივიდა და წელსზემოთ გახდა მოსთხოვა.

— რა გჭირთ? ვინ გაგალამაზათ? — ჰკითხა ლევანს.

— გოგას იდეა იყო და ეგ აგიხსნის, — მშვიდად უპასუხა ლევანმა.

— არაფერი გვჭირს, ვირობანას ვთამაშობდით და ვეცემოდით ხოლმე, მაგ დროს დავიბეჟეთ. ხომ ხედავ, სახეზე არაფერი გვჭირს, რომ ვეცემეთ ვინმეს, სახეს შეგვინახავდა? — გაუღიმა გოგამ.

— კეთილი, ხვალინდელი დღეც გათენდება, — ასევე ღიმილით თქვა რეჟიმის უფროსმა და საკანი დატოვა.

დილით ყველა გავიდა და კამერაში მარტო ლევანი, გია და გოგა დარჩნენ. გიამ საიდანღაც შტირი გამოაძვრინა, ლევანმაც მოიძია თავისი რკინა, გოგამ კი პლასტმასისგან ჩამოსხმული დანის ფორმის მსგავსი ნივთი გამოაძრო ლეიბიდან.

— მოკლედ, ახლა ორი რამ შეიძლება მოხდეს: ან ამოვლენ და ცემაში დაგვხოცავენ, ან ვინმეს მოგვიგზავნიან და გვეტყვიან, ბაზარი მოკალით, რაც იყო, იყოო. მე უკანდახევას არ ვაპირებ, არასწორი ხელი მომხვდა მეც და თქვენც, — გამოაცხადა ლევანმა.

— უკანდახევას არავინ აპირებს, — მშვიდად უპასუხა გოგამ და ყავა მოადუღა.

სამეულს ერთი ფაიფურის ჭიქა ჰქონდა. ზოგადად, ფაიფურის ჭიქა ფუფუნების საგნად ითვლებოდა და ამიტომ, ამ ჭიქიდან მხოლოდ სამი ძმაკაცი სვამდა და თვალისჩინივით უვლიდა. ყავას მშვიდად სვამდნენ, როცა საკნის კარი გაიღო და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მაყურებელი შემოვიდა.

— ეს შენი ბრატი არ არის? — გადაულაპარაკა ლევანმა გოგას.

— ყოველ შემთხვევაში, ამ დილამდე აშკარად იყო და ვნახოთ, რა უნდა, — უპასუხა გოგამ და მოსულს დაუძახა, — მოდი, წიე, დაჯექი, ყავა დალიე...

მოსულმა ერთი ყლუპი მოსვა და მერე უსაშველო მეგრული აქცენტით დაიწყო:

— მოკლედ, ახლა ეს სიტუაციაა. ბლატატა მაყურებლების ოთახშია შეკრებილი, ჯერ არ იციან, რას იზამენ, ზონა კიდევ მათ ვერდიქტს ელოდება. თუ იტყვიან, რომ უნდა შეგჭამონ, ვისაც არ ეზარება, ყველა აქ ამოვა. ვიცი, მართლები ხართ და სიმართლის მხარეს ვარ. ტყუილად ვარ დაჭერილი და სიმართლისთვის მაინც მოვკვდე, მაგის დედაც ვატირე. სადაც თქვენ, იქ მეც, — დაასრულა მონოლოგი წიემ და ნარზე თავისი შტირი დააგდო.

დაახლოებით, ხუთ წუთში, კამერაში ზონის მაყურებელი შემოვიდა, უხმოდ ჩამოჯდა, უხმოდ მოსვა ყავა, მერე ლევანს შეხედა და დაიწყო.

— მაყურებელზე ხელის დარტყმა სწორი რომ არ არის, კი იცი შენც. ის, რომ ბაზარში რაღაც გამეპარა, ეგეც იცი. ორი ვარიანტია, ან მე და შენ ვრიგდებით, ან არადა, ომი იქნება და ეს ომი ამ ბოზებს გაუხარდებათ, რა, — მშვიდად თქვა მაყურებელმა.

— და ნახევარმა ზონამ რომ გვიბრახუნა, ეგ არაფერი? — სამივემ ერთად იკითხა.

— ეგეც მოგვარდება. ვინც ხელი დაგარტყათ, ჩემთან მოვიყვან, დავაყენებ და მიიღეთ, ძმაო. მე გავედი, იფიქრეთ და ან ვომობთ, ან ნახევარ ზონას გაუპაწუნებთ და მაგით მორჩება, — დაამატა მაყურებელმა და წამოდგა.

— მოიცა, კიდევ ერთი პირობა გვაქვს. არც მე, არც გოგა და არც გია არ უნდა გაგვკრიტონ, — დააწია ლევანმა.

— ატვეჩაი ვარ, — თქვა მაყურებელმა და კამერიდან გავიდა.

მცირე თათბირის შემდეგ, სამეული მაყურებლების კამერაში ჩავიდა. კამერა პურის რიგს დაემსგავსა. ისინი, ვინც წინა დღეს მუშტს იქნევდა, ახლა რიგში იდგნენ, შედიოდა, ხელებს ზურგს უკან იწყობდა და სამეულისგან თითო ლაზათიან სილას იღებდა.

იმავე ღამეს ლევანი ქსანში გადაიყვანეს, გია გაკრიტეს, გოგა კი კარცერში ჩასვეს. კარცერიდან ამოსულს მაყურებელი სხვა ზონაზე დახვდა გადაყვანილი...

***

ორი წლის შემდეგ, ლევანი, გოგა და გია ამ უკანასკნელის რესტორანში ისხდნენ და ლუდს წრუპავდნენ, შემდეგ წამოდგნენ და პეკინზე, ერთ-ერთ ბინაში მივიდნენ. მალე ბინა გასაღებით გააღეს და ოთახში ზონის აწ უკვე ყოფილი მაყურებელი და წიე შემოვიდნენ. ძმაკაცების დანახვაზე მაყურებელს მუხლი მოეკვეთა, წიეს უმწეოდ შეხედა და...

— აბა, ქალებიო? ეს რა გამიკეთე? — წართმეული ხმით თქვა.

გია წამოდგა, მაგიდიდან იარაღი აიღო, მაყუჩის დამაგრება დაუწყო და მაყურებელს უთხრა:

— აბაზანაში შედი...

ყველაფერს იფიქრებდნენ ბიჭები, იმის გარდა, რაც მოხდა. მაყურებელს მუხლი მოეკვეთა, იატაკზე დაეცა და... ჩაისვარა.

— მე ამაზე ტყვიის გამფუჭებელი არ ვარ, — გამოაცხადა გიამ და საგულდაგულოდ დამაგრებული მაყუჩის მოხსნა დაიწყო.

— მომკალი, მომკალი, — არაადამიანური ხმით იყვირა მაყურებელმა.

— ვერ ხვდები, რომ ისედაც მკვდარი ხარ, შეჩემა, — მიუგდო გოგამ და ოთხეულმა ბინა დატოვა, ლევანმა კი, ზიზღით შეხედა და...

— ატვეჩაი ხარ, არა?!



# „ნატახტარის“ ორგანიზებული ლუდის ფესტივალი „ვარდების მოედანზე“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**12-13 ივლისს, „ვარდების მოედანზე“ უკვე მეხუთედ, „თბილისის ლუდის ფესტივალი“ გაიმართა. ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებული ლუდის ფესტივალების პირველი ქართული ანალოგის ორგანიზატორი და სპონსორი, ტრადიციულად, კომპანია „ნატახტარი“ იყო. „თბილისის ლუდის ფესტივალს“ კომპანია „ყველის სახლი“ წელს პირველად შეუერთდა და „ვარდების მოედანზე“ საკუთარი პროდუქციაც წარადგინა.**

## წლევანდელ ფესტივალს „ყველის სახლიც“ შეუერთდა

12 ივლისს, „ვარდების მოედანზე“, 17.00 საათიდან, ღია ცის ქვეშ, საქართველოს ყველაზე გრძელი ლუდის ბარი გაიხსნა. საფესტივალო ტერიტორიაზე ლუდის შესაძენად, სპეციალური ვალუტა — ლუდის მონეტა შემოიღეს. მსურველები სპეციალურ სალაროსთან ყიდულობდნენ ლუდის მონეტებს და შემდეგ ლუდის ბარებთან, სასურველ ლუდში ცვლიდნენ. ერთი მონეტის ფასი 1.50 ლარი იყო.

ტრადიციულად, წელსაც ჩატარდა სხვადასხვა სახის შეჯიბრი ლუდის სმაში და ორგანიზატორებმა სტუმრებს გასართობი თამაშებიც შესთავაზეს. 13 ივლისს, ლუდის ფესტივალზე, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის ჩვენებაც გაიმართა.

ლუდის ფესტივალზე წელსაც საკმაოდ საინტერესო მუსიკალური პროგრამა წარადგინეს, რომელიც 2 დღის მანძილზე ასე გადანაწილდა: 12 ივლისს, „თბილისის ლუდის ფესტივალი“ ელენე კალანდაძემ გახსნა, ამის შემდეგ ჯგუფების: The Jetbird-ის, „არა“-სა და „ჯგუფი ყველას“ კონცერტი გაიმართა. 13 ივლისს, ფესტივალი Friendly Mosquito-მ გახსნა, შემდეგ დავით ილურიძის ბენდი გამოვიდა, რასაც LOUDspeakers-ის, „ფრანისა“ და რობი კუხიანიძის გამოსვლები მოჰყვა.

„თბილისის ლუდის ფესტივალზე“ მსურველებმა „ნატახტარის“, „კოზელის“, „მთიელის“, „ეფესისა“ და „კაიზერის“ ლუდი დააგემოვნეს. წლევანდელ ფესტივალზე კომპანია „ნატახტარმა“ ლუდის მოყვარულებს პირველად შესთავაზა „კოზელის“ ლუდი.

„ნატახტარის“ გარდა, „თბილისის ლუდის ფესტივალზე“ სხვა კომპანიაც მონაწილეობდა. წელს პირველად, ფესტივალზე საკუთარი პროდუქცია „ყველის სახლმაც“ წარმოადგინა. კომპანიის დირექტორმა, ბექა კუპრეიშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ აქცენტი შებოლილი ყველის სახეობებზე — „ლორზე“, „დაწნულ ყველსა“ და „სკიბოზე“ გაკეთდა, რადგან ამ ტიპის ყველი ლუდს ყველაზე მეტად უხდება. „ყველის სახლმა“ ლუდის ფესტივალზე საქართველოში დამზადებული ევროპული მშრალი ყველი და ალვანის „გუდაც“ წარმოადგინა.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | | 3 | | 7 | |
| 8 | | 7 | | 1 | | 4 | | |
| | | | | | 6 | 3 | | |
| | | | | 3 | | | 9 | 1 |
| | | | 1 | 2 | 8 | | | |
| 2 | 6 | | | 4 | | | | |
| | | 6 | 7 | | | | | |
| | | 4 | | 6 | | 1 | | 7 |
| | 8 | | 5 | | | 6 | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 4 | 3 | | 1 |
| | 4 | | | | 5 | | | |
| | | 9 | 8 | | 7 | 4 | | 6 |
| 4 | 2 | | | | | | | |
| | | 6 | | 8 | | 9 | | |
| | | | | | | | 7 | 8 |
| 1 | | 4 | 9 | | 8 | 6 | | |
| | | | 7 | | | | 3 | |
| 8 | | 3 | 2 | | | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | | | | |
| | | 5 | | 6 | | | 7 | |
| | 9 | 7 | | | 3 | 6 | 1 | |
| | | | 2 | | | | | 8 |
| 7 | | | 6 | 8 | 1 | | | 3 |
| 9 | | | | | 4 | | | |
| | 6 | 1 | 7 | | | 5 | 8 | |
| | 2 | | | 1 | | 3 | | |
| | | | | | | | 2 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | 8 | | | | | |
| 2 | 8 | | | | | 7 | 6 | |
| 9 | | 6 | | | 5 | | | 8 |
| 3 | | 2 | | 1 | | | | |
| | 9 | | | 8 | | | 7 | |
| | | | | 5 | | 1 | | 3 |
| 7 | | | 9 | | | 2 | | 6 |
| | 3 | 8 | | | | | 4 | 7 |
| | | | | | 7 | 5 | | |

# ყველაზე გულუხვი ქვეყნები გამოავლინეს

სპეციალისტებმა მსოფლიოს ყველაზე გულუხვი 10 ქვეყნის რეიტინგი შეადგინეს, სადაც ადამიანებს არ ენანებათ, ფული გაიღონ გაჭირვებულების დასახმარებლად. შესაძლოა, გულუხვობა ამ სახელმწიფოებში სულაც არ ნიშნავდეს იმას, რომ აქაურები მდიდრები არიან, მაგრამ ეს ფაქტი მათ თავდაჯერებულობასა და ხვალინდელი დღის იმედზე მეტყველებს. რეიტინგის ლიდერი ამერიკის შეერთებული შტატებია. ამ ქვეყნის მოსახლეობის 77% მზადაა, უცნობ ადამიანს დაეხმაროს. 62% რეგულარულად რიცხავს თანხას საქველმოქმედო ორგანიზაციებში. ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინ აშშ მხოლოდ მეხუთე ადგილზე იყო ქველმოქმედებაში, ამჯერად კი, ლიდერის პოზიციაზეა. ექსპერტები ამ ფაქტს ხელისუფლების მობილიზაციით ხსნიან, რომელიც ამერიკელებს ქველმოქმედებისკენ მოუწოდებს. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე რელიგია, ამერიკული ტრადიციები და ისიც, რომ აშშ მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყანაა. გულუხვების სიაში მეორე ადგილი შეერთებული შტატების მეზობელ კანადას ერგო. ამ ცივი ქვეყნის მცხოვრებლებს სულიერი სითბო ნამდვილად არ აკლიათ — კანადელების 68% ფულს საქველმოქმედო ორგანიზაციებში რიცხავს და უცნობებსაც ეხმარებიან. მესამე საფეხური აზიის წარმომადგენელმა — მიანმამ (ყოფილი ბირმა) დაიკავა. ქველმოქმედებით ისაა პირველი განვითარებად ქვეყნებს შორის. აქაური მოსახლეობის 85% თანხას ურიცხავს საქველმოქმედო ფონდებს. ამ საქციელისკენ მათ ბუდიზმიც უბიძგებს — რელიგიის მიმდევრებმა ქვეყნის ტერიტორიაზე ქველმოქმედების მთელი ქსელი შექმნეს.

გულმოწყალე ქვეყნების ტოპ-ათეულში შევიდა, ასევე ახალი ზელანდია — ის მსოფლიოს ერთ-ერთ სტუმართმოყვარე მხარედ მიიჩნევა. მოსახლეობის 67% მზადაა, დახმარების ხელი გაუწოდოს უცხო ადამიანს. ასე, მაგალითად, ტაიფუნის შედეგების აღმოსაფხვრელად, ერთი თვის განმავლობაში აქაურებმა 1,4 მილიონი დოლარი შეაგროვეს. გულუხვი ქვეყნების სიაშია ირლანდიაც — მოსახლეობის 70% ყოველთვის მზადაა, თანხა გაიღოს საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამაში დიდი წვლილი კათოლიკურ ეკლესიას მიუძღვის. დიდი ბრიტანელების 67%-იც არ დაიხევს უკან, თუ ვინმეს დახმარება დასჭირდა — აქაურები, ირლანდიელების შედეგ, ყველაზე ხელგაშლილები არიან. „მწვანე კონტინენტზე" ცხოვრება საკმაოდ ძვირია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ავსტრალიელებს, სხვის დასახმარებლად, ქველმოქმედებისთვის თანხა გაიღონ. ქვეყანაში 45 ათასი საქველმოქმედო ორგანიზაციაა და სტატისტიკის მიხედვით, 2010 წლიდან შემოწირულობები 11%-ით გაიზარდა. გულუხვი ქვეყანა აღმოჩნდა ნიდერლანდებიც — ჰოლანდიელების 30% მზადაა, საკუთარი ბიუჯეტიდან გაჭირვებულთათვის გარკვეული თანხა გადადოს, ასევე ითანამშრომლოს საქველმოქმედო ორგანიზაციებთან. აქაურების 69%-ს შეუძლია, ფული უცნობი ადამიანების დაპურებაზე დახარჯოს. ჰოლანდიელების გულუხვობაზე კრიზისმაც ვერ იმოქმედა — 2010-11 წლებში შემოწირულობები უფრო გაიზარდა. სხვების დახმარება არაბებსაც უყვართ — ამ მხრივ გამორჩეულები კატარელები არიან. ამ ქვეყნის მოსახლეობის 60% ურიცხავს ფულს საქველმოქმედო ფონდებს და ამით ამაყობენ, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არაბი ხალხის ეს „ტრადიცია" ყატარის აღორძინებას ემსახურება. გულუხვი ქვეყნების ათეულს კი კვლავ აზიის წარმომადგენელი შრი-ლანკა (ცეილონი) ასრულებს. აქაურებიც მზად არიან, გაჭირვებულებს დახმარების ხელი გაუწოდონ.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 3 | 7 | 2 | 1 | 9 | 4 | 8 |
| 7 | 4 | 2 | 9 | 8 | 6 | 3 | 5 | 1 |
| 9 | 1 | 8 | 5 | 4 | 3 | 7 | 2 | 6 |
| 3 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 1 | 8 | 2 |
| 2 | 6 | 1 | 8 | 9 | 7 | 5 | 3 | 4 |
| 5 | 8 | 4 | 3 | 1 | 2 | 6 | 9 | 7 |
| 1 | 3 | 9 | 4 | 7 | 8 | 2 | 6 | 5 |
| 8 | 2 | 6 | 1 | 3 | 5 | 4 | 7 | 9 |
| 4 | 7 | 5 | 2 | 6 | 9 | 8 | 1 | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 3 | 2 | 1 | 9 | 7 | 5 | 6 | 4 |
| 7 | 4 | 6 | 8 | 3 | 5 | 2 | 1 | 9 |
| 1 | 5 | 9 | 6 | 4 | 2 | 8 | 3 | 7 |
| 3 | 2 | 1 | 5 | 8 | 9 | 7 | 4 | 6 |
| 6 | 9 | 8 | 7 | 2 | 4 | 1 | 5 | 3 |
| 5 | 7 | 4 | 3 | 6 | 1 | 9 | 8 | 2 |
| 9 | 1 | 7 | 4 | 5 | 3 | 6 | 2 | 8 |
| 4 | 6 | 5 | 2 | 7 | 8 | 3 | 9 | 1 |
| 2 | 8 | 3 | 9 | 1 | 6 | 4 | 7 | 5 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 7 | 8 | 2 | 6 | 4 | 9 | 3 |
| 4 | 3 | 9 | 5 | 1 | 7 | 2 | 8 | 6 |
| 2 | 8 | 6 | 4 | 9 | 3 | 7 | 1 | 5 |
| 8 | 9 | 2 | 1 | 6 | 5 | 3 | 7 | 4 |
| 3 | 7 | 5 | 2 | 8 | 4 | 1 | 6 | 9 |
| 1 | 6 | 4 | 3 | 7 | 9 | 8 | 5 | 2 |
| 9 | 5 | 8 | 7 | 4 | 2 | 6 | 3 | 1 |
| 7 | 4 | 3 | 6 | 5 | 1 | 9 | 2 | 8 |
| 6 | 2 | 1 | 9 | 3 | 8 | 5 | 4 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 5 | 1 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 |
| 6 | 4 | 3 | 2 | 9 | 5 | 8 | 1 | 7 |
| 1 | 8 | 7 | 3 | 6 | 4 | 9 | 5 | 2 |
| 5 | 1 | 4 | 9 | 7 | 3 | 2 | 8 | 6 |
| 8 | 9 | 2 | 6 | 5 | 1 | 7 | 3 | 4 |
| 3 | 7 | 6 | 8 | 4 | 2 | 5 | 9 | 1 |
| 7 | 3 | 1 | 5 | 2 | 9 | 4 | 6 | 8 |
| 4 | 6 | 9 | 7 | 3 | 8 | 1 | 2 | 5 |
| 2 | 5 | 8 | 4 | 1 | 6 | 3 | 7 | 9 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 8 | 3 | 2 | 4 | 9 | 7 | 5 |
| 7 | 2 | 5 | 1 | 6 | 9 | 8 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 6 | 2 | 1 |
| 6 | 5 | 2 | 4 | 1 | 3 | 7 | 9 | 8 |
| 9 | 1 | 4 | 7 | 8 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 8 | 7 | 3 | 9 | 5 | 2 | 1 | 6 | 4 |
| 5 | 9 | 7 | 2 | 3 | 8 | 4 | 1 | 6 |
| 2 | 8 | 1 | 6 | 4 | 7 | 3 | 5 | 9 |
| 3 | 4 | 6 | 5 | 9 | 1 | 2 | 8 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 7 | 1 | 2 | 3 | 9 | 8 | 6 |
| 1 | 8 | 3 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 6 | 2 | 9 | 5 | 8 | 4 | 7 | 3 | 1 |
| 4 | 1 | 2 | 3 | 6 | 7 | 8 | 9 | 5 |
| 8 | 9 | 6 | 4 | 5 | 2 | 3 | 1 | 7 |
| 3 | 7 | 5 | 8 | 1 | 9 | 6 | 2 | 4 |
| 2 | 6 | 1 | 7 | 9 | 8 | 4 | 5 | 3 |
| 9 | 5 | 4 | 6 | 3 | 1 | 2 | 7 | 8 |
| 7 | 3 | 8 | 2 | 4 | 5 | 1 | 6 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 | 7 | 9 | 6 |
| 9 | 6 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 8 |
| 2 | 1 | 8 | 7 | 9 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 7 | 3 | 2 | 9 | 8 | 1 | 6 | 5 | 4 |
| 8 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 9 |
| 1 | 9 | 4 | 6 | 7 | 5 | 3 | 8 | 2 |
| 6 | 7 | 5 | 8 | 2 | 4 | 9 | 3 | 1 |
| 4 | 2 | 1 | 3 | 5 | 9 | 8 | 6 | 7 |
| 3 | 8 | 9 | 1 | 6 | 7 | 4 | 2 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 2 | 3 |
| 7 | 4 | 6 | 3 | 2 | 9 | 5 | 1 | 8 |
| 3 | 5 | 2 | 4 | 8 | 1 | 9 | 7 | 6 |
| 9 | 3 | 7 | 6 | 1 | 8 | 2 | 5 | 4 |
| 8 | 2 | 5 | 9 | 7 | 4 | 3 | 6 | 1 |
| 6 | 1 | 4 | 5 | 3 | 2 | 8 | 9 | 7 |
| 2 | 8 | 3 | 1 | 9 | 7 | 6 | 4 | 5 |
| 5 | 6 | 1 | 2 | 4 | 3 | 7 | 8 | 9 |
| 4 | 7 | 9 | 8 | 5 | 6 | 1 | 3 | 2 |

მე-10 გვერდი: 1. ბერმუდი; 2. ენძელა; 3. მანიფესტი; 4. დიასტოლა; 5. აკაპელა; 6. კამამბერი; 7. პატარძეული; 8. ლანდო; 9. ოკოჩა; 10. იპონი; 11. ალილუია; 12. ვაჩნაძე; 13. სმეტანა; 14. უილ; 15. დასტაქარი; 16. ბრა; 17. სტაფილო; 18. ბიძა; 19. ბოდრუმი; 20. კაპელო; 21. ელისო; 22. ჩელესტა; 23. ბატატი; 24. ტიფოზი; 25. ტოფუ; 26. მიდია; 27. „კომბლე"; 28. უტა; 29. ტანეევი; 30. ჩანტლაძე; 31. ანიკა; 32. ფოფოდია; 33. ნალჩიკი; 34. ჭინკა; 35. იალტა; 36. და; 37. ურდო; 38. ჩაუქი; 39. უზი; 40. რადიო; 41. ურმია; 42. ქექია; 43. მინდანაო; 44. დაბა; 45. ინა; 46. ინკი; 47. ქარვა; 48. კალაძე; 49. კანოტიე; 50. კუკია; 51. ერგი; 52. ელოდეა; 53. ბადაგი; 54. ათა; 55. კაბუკი; 56. იდიია; 57. ოდა; 58. კაა.

მე-12 გვერდი: 1. ლიტერატურა; 2. ყაბაყი; 3. ლიბრეტო; 4. ტალეირანი; 5. „რეალი"; 6. ყანჩელი; 7. ბადახში; 8. ყამა; 9. აბულია; 10. თაბაშირი; 11. ლემა; 12. ნადიმი; 13. მახვში; 14. ლიმიტი; 15. ეთილი; 16. მხნე; 17. ერატო; 18. შაში; 19. ობამა; 20. ხიდი; 21. სენა; 22. ანა; 23. ზოილი; 24. დოჰა; 25. ვაი; 26. პნომპენი; 27. აბიო; 28. ოსპი; 29. შაჰი; 30. სუში; 31. პოლკა; 32. ბატერფლაი; 33. სამიტი; 34. სვია; 35. ასაგაი; 36. ასპიტი; 37. ნენა; 38. ტრიბუნალი; 39. ნერონი; 40. ეტალონი; 41. ინია; 42. ავი; 43. დღე; 44. ემისარი; 45. რიუკიუ; 46. ბესიკი; 47. ამფორა; 48. კაასი; 49. სიგმა; 50. კრაველი; 51. რენო"; 52. პრაღა; 53. „ამელი"; 54. მუნ; 55. ნაირა; 56. შონ; 57. ენგელსი; 58. ათა; 59. კამიუ; 60. პლანშე; 61. აგნი; 62. შენგენი; 63. იაიკი; 64. ლეია; 65. იონია; 66. რკო; 67. კაიენა; 68. არეტა; 69. შარმი; 70. ემსი; 71. აკრი; 72. გორიო; 73. ევენკები; 74. მათემატიკა; 75. უპე; 76. ეტლი; 77. ყრუ; 78. ეტი; 79. ლოა; 80. ნიონი; 81. კიბო; 82. კამეო; 83. აისი; 84. აბაკა; 85. გე; 86. პეტანკი; 87. სპასპეტი.




# ყველაზე პატარა ლოთი

2 წლის ჩინელი ჩენგ ჩენგი შეიძლება მსოფლიოში ყველაზე მცირეწლოვან ლოთად მივიჩნიოთ — მან ღვინოს გემო პირველად 10 თვისამ გაუსინჯა, ერთი წლის ასაკში კი ლუდიც დააგემოვნა. ბავშვი ჩინეთის პროვინცია ანჰოიში ცხოვრობს. მას შემდეგ, რაც ჩენგის ამბავი ადგილობრივი მედიის წყალობით გახმაურდა, მშობლებს უამრავი მედიკოსი უკავშირდება და მოუწოდებს, სასწრაფოდ შეწყვიტონ „ექსპერმენტები“ ბავშვზე, რადგან ალკოჰოლი ბავშვს დაღუპავს, მაგრამ ექიმების გაფრთხილება სასაცილოდ არ ჰყოფნის პატარას მამას, რომელიც შვილის სასმელისადმი მისწრაფებაზე ბევრს ხუმრობს. ეს ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა მან ჩვილს წვეთი ღვინო დაალევინა, რადგან ტიროდა და იფიქრა, სასმელი დაამშვიდებსო. დედას კი ეშინია, სახელმწიფოს ოფიციალური პირები მშობლებს ბავშვზე ზრუნვის უფლებას ჩამოართმევენ და ცდილობს, ჩენგს როგორმე რძე შეაყვაროს.

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# ბრიტანეთში ნეფერტიტის „რეინკარნაცია“ ცხოვრობს



20 წელზე მეტი ხნის სიცოცხლე, დაახლოებით 200 ათასი გირვანქა სტერლინგი (330 ათასი დოლარი) და 51 ქირურგიული ჩარევა დასჭირდა 49 წლის ბრიტანელ ქალბატონს, ცნობილი ეგვიპტელი დედოფლის, ნეფერტიტის „ცოცხალ განსახიერებად“ რომ გადაქცეულიყო. ნაილინ ნამიტას თქმით, ბავშვობაში ხშირად ესიზმრებოდა, რომ ნეფერტიტიდ წარადგენდნენ, ასევე ეპიზოდები დედოფლის ცხოვრებიდან, მისი მსახურების სახეები, სასახლე და ტრაპეზის სცენებიც კი. 23 წლის ასაკში გოგონა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს სიზმრები ერთ რამეზე მიუთითებდა — იგი ნეფერტიტის რეინკარნაციაა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ნაილინმა პირველი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და ცხვირის ფორმა შეიცვალა. 49 წლისას უკვე 51 ოპერაცია აქვს გაკეთებული, მათ შორის, რვა — ცხვირზე, სამი — ღაწვებზე იმპლანტატების ჩადგმაზე, სამი — სახის დაჭიმვაზე, ექვსი ლოკალური ოპერაცია სახეზე, ორი — ტუჩებზე, ხუთი — თვალის ფორმის შეცვლაზე და 20 სხვა უმნიშვნელო ქირურგიული ჩარევა. ამჟამად ნამიტა ახალი ოპერაციებისთვის ემზადება, თან წერს წიგნს საკუთარ „გარდაქმნაზე“ და ეგვიპტის — დედოფალ ნეფერტიტის სამშობლოს მონახულებასაც აპირებს.

# უჩვეულო ბიზნესი მოიფიქრეს

მერილენდში მცხოვრებმა ახალგაზრდა წყვილმა მეტად უჩვეულო ბიზნესი წამოიწყო — ისინი მსურველებზე ქათმებს აქირავებენ. მათ, ვისაც სურს, საუზმეზე ხშირად მიირთვას ახლადდადებული კვერცხი, ანდა, უბრალოდ, წიწილების გამოჩეკის პროცესის ნახვა აინტერესებს, შეუძლიათ, ერთი ან ორი თვით ქათმები იქირაონ. ჯერჯერობით, უცნობია, რა გამოხმაურება ექნება ამ ბიზნესს ამერიკის ცხოველთა უფლებების დაცვის ორგანიზაციაში, მაგრამ ფაქტია, რომ მერილენდის მცხოვრებლებში ქათმების გაქირავების ბიზნესი სულ უფრო პოპულარული ხდება.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 5 | | | 2 |
| | | | | | 2 | | 9 | |
| | 3 | | 1 | | | 8 | | |
| 8 | | 3 | | | 1 | 7 | | |
| 7 | 6 | | | 5 | | | 2 | 1 |
| | | 1 | 7 | | | 6 | | 4 |
| | | 6 | | | 3 | | 1 | |
| | 7 | | 2 | | | | | |
| 2 | | | 4 | | | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 6 | | | | 8 | |
| | | | | 3 | | 6 | | 7 |
| 1 | | | 9 | 5 | | 4 | | |
| 7 | | | | | 3 | | 2 | |
| | | | | 9 | | | | |
| | 3 | | 1 | | | | | 6 |
| | | 8 | | 1 | 7 | | | 3 |
| 4 | | 7 | | 8 | | | | |
| | 2 | | | | 4 | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | 9 | 7 | 5 | |
| | | 9 | | | | | | |
| 7 | | | 5 | | | | 1 | |
| 4 | | | 6 | | | | | 3 |
| | 3 | | | 1 | | | 8 | |
| 6 | | | | | 5 | | | 1 |
| | 4 | | | | 3 | | | 6 |
| | | | | | | 2 | | |
| | 2 | 5 | 9 | | | | 3 | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 4 | 1 | | |
| | 9 | | 3 | 1 | | | 5 | |
| | | | | | 5 | 8 | | 7 |
| | | 4 | | | | | | 3 |
| 5 | 1 | | | 2 | | | 7 | 9 |
| 6 | | | | | | 4 | | |
| 3 | | 1 | 7 | | | | | |
| | 5 | | | 3 | 8 | | 6 | |
| | | 7 | 6 | | | | | |

## ყველაზე „გემრიელი“ ქალაქები დაასახელეს

პოპულარულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ ამჯერად სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოებში შეიხედა და მსოფლიოს ყველაზე „გემრიელი ქალაქების“ რეიტინგი შეადგინა. გამოცემის სპეციალისტებმა 20 ქვეყნის 20 ათასზე მეტი რესპონდენტი გამოკითხეს და შედეგად კულინარიულ სფეროში გამარჯვებულად საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი დაასახელეს. განსაკუთრებით აღნიშნეს ამ რომანტიკული ქალაქის რესტორნების ხარისხი. დიდი მოწონება ხვდა წილად ცხვრის ხორცის ფრანგულ კერძებსა და ტორტებს. რეიტინგში მეორე ადგილი გამოკითხვის მონაწილეებმა იტალიის დედაქალაქს მიაკუთვნეს და გვირჩიეს, რომში პიცით, სენდვიჩითა და ნამცხვრით დავინტერესდეთ. მესამე ადგილი სიაში ამომავალი მზის ქვეყნის ცენტრს — ტოკიოს ერგო ტრადიციული იაპონური სამზარეულოთი. ექვსეულში შევიდნენ ასევე მეხიკო, ბარსელონა და მადრიდი. გამოცემა აღნიშნავს, რომ აშშ-სა და კანადაში მექსიკური სამზარეულო არ სარგებლობს პოპულარობით, მაგრამ რუსეთში, ეგვიპტეში, შვედეთსა და ავსტრალიაში აქაურმა კერძებმა დიდი მოწონება დაიმსახურა, განსაკუთრებით, ტრადიციულმა საჭმელმა და ცხელმა შოკოლადმა. ბარსელონაში პაელია, პური პომიდვრით და სხვა დახვეწილი კერძები გამოარჩიეს, მადრიდში ჩასულ ტურისტებს კი ურჩევენ ხამონი, ზეთისხილი და ტკბილი შემწვარი პური გასინჯონ. „გემრიელი“ ქალაქების ათეულში შევიდა ასევე პეკინი, მილანი და შანხაი.

## საოცარი გამოგონება — მობილური ტუალეტი

დაიღალეთ ქუჩაში საპირფარეშოს ძებნით? თუ ასეა, მაშინ გერმანელი გამომგონებლები ნამდვილად გაგახარებენ თავიანთი ორიგინალური „ქმნილებით“ — პორტატული ტუალეტი ქალის ხელჩანთაშიც კი ეტევა. გამომგონებლებმა ასეც დაარქვეს — „ქალის ხელჩანთა“. ეს მსოფლიოში პირველი „ჯიბის ტუალეტია“, რომლის გამოყენებაც ნებისმიერ საჭირო დროს შეიძლება და სულ არ დაგჭირდებათ „გაჭირვებულების“ რიგში დგომა ან ახლომახლო ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ადგილის ძებნა. გერმანელების გამოგონება პლასტმასის ჩანთაა, რომელიც აბსორბენტული პოლიმერებითაა სავსე. მასში მოხვედრილი სითხე ჟელედ გადაიქცევა. დაკეცილ მდგომარეობაში პორტატული ტუალეტი შოკოლადის ფილის ზომისაა და უჩვეულო დიზაინითაც გამოირჩევა — ფოთლის ფორმა აქვს. მობილურ საპირფარეშოში დაახლოებით 0,5 ლიტრი სითხე ეტევა, თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში, მეტის დატევაც შეიძლება. გარდა ამისა, უსიამოვნო სუნის ნეიტრალიზებასაც ახდენს, „ხელჩანთის“ მოშორება კი უახლოეს ნაგვის კონტეინერში შეგეძლებათ. აღსანიშნავია, რომ ევროპაში ასეთი ერთჯერადი ტუალეტი 11,2 ევრო ღირს. მწარმოებელი კომპანია გირჩევთ, ის მანქანაში არ გამოიყენოთ. „ქალის ხელჩანთა“ ერთგვარი პასუხია უფრო ადრე გამოშვებულ „საგზაო ჩანთაზე“, რომელიც მამაკაცებისთვისაა გათვალისწინებული და რომელიც უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

## დატვირთული სამუშაო სიცოცხლეს ახანგრძლივებს?

ასეთ უჩვეულო დასკვნამდე ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ. მათი მოსაზრებით, მძიმე სამუშაო და დაძაბული რიტმი ბედნიერი და ხანგრძლივი ცხოვრების სათავეა. სპეციალისტების განცხადებით, დაძაბული სამუშაო ადამიანს მეტად სასარგებლო თვისებებს სძენს — ამბიციურობას, ორგანიზებულებასა და კეთილსინდისიერებას. სწავლულები გვარწმუნებენ, რომ ეს თვისებები საშუალოდ 4 წლით ახანგრძლივებს სიცოცხლეს. თვითდისციპლინაც ის ფაქტორია, რომელიც ადამიანს ბევრი მავნე ჩვევისგან კურნავს და ქალებსაც და კაცებსაც საშუალებას აძლევს, სტრესის მიმართ უფრო გამძლეები იყვნენ. გარდა ამისა, ვინც სამუშაოს დიდ დროს უთმობს, ჩვეულებრივ უფრო საიმედო და გონიერია. ასეთი დასკვნები მეცნიერებმა 20 გამოკვლევის საფუძველზე გამოიტანეს, რომელიც ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე სამუშაოს გავლენას მიეძღვნა და რომელშიც 8900 მოხალისე მონაწილეობდა ამერიკიდან, კანადიდან, იაპონიიდან, გერმანიიდან, ნორვეგიიდან და შვედეთიდან.

## ცოლთან ყოფნას ციხე არჩია



რა ქნას მამაკაცმა, რომელსაც მობეზრდა ცოლი, მაგრამ მას განქორწინებაზე ვერ ითანხმებს? ამ კითხვაზე პასუხი ბევრნაირი შეიძლება იყოს, ერთ-ერთი კი, მაგალითად, ციხეში ჩაჯდომაა. სწორედ ასე მოიქცა აშშ-ს პენსილვანიის შტატის მცხოვრები ენტონი მილერი, რომლის მეუღლეც კატეგორიული წინააღმდეგია გაყრის და თვითმკვლელობითაც იმუქრებოდა, თუ ქმარი ამ ნაბიჯს სასამართლოს დახმარებით გადადგამდა. მაშინ სასოწარკვეთილმა 39 წლის მამაკაცმა დანაშაულის ჩადენა და ციხეში წასვლა გადაწყვიტა. შესაბამისი „აღჭურვილობა“ — ნიღაბი და სათამაშო პისტოლეტი იშოვა და ბანკის გასაძარცვად გაეშურა. მოლარის დაყაჩაღების შემდეგ კი, პოლიციის გამოძახება მოითხოვა და შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცავებს ჩაბარდა. სასამართლოზე, სადაც მილერს სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ბრალდებულმა განაცხადა, რომ ურჩევნია, ციხეში წავიდეს, ვიდრე მომაბეზრებულ ცოლთან ერთად იცხოვროს.

1. რვა მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
2. ქვეწარმავ. კანის შეფერილობის შეცვლის უნარით
3. რუსეთის დიდი იმპერატორი ქალი
4. მედლის წინა მხარე
5. ნანის მამა „უდიპლომო სასიძოში"
6. რუსი პიანისტი სვიატოსლავ ...
7. ბავშვის მოსანათლი საეკლესიო ჭურჭელი
8. მტრედისნაირთა რიგის ფრინველი
9. გარდამავალი ჯილდო სპორტში
10. „კავკასიური ცარცის წრის" ავტორი
11. პატარა ზომის კენგურუ
12. მიკენის მეფე ევრისთევსის ასული
13. ლონდონის საქმიანი ცენტრი
14. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
15. ზამბახის მეორე სახელწოდება
16. კაუჩუკის ხე
17. თხების ჯოგი
18. სამაგიდო თამაში
19. გზის სიგრძის საზომი ერთეული
20. მუსორგსკის ოპერა „... გოდუნოვი"
21. ბალეტ "ჟიზელის" კომპოზიტორი
22. მუსლიმანთა ფეოდალური მმართველის ტიტული
23. თურქმენეთის დედაქალაქი
24. ჯარების მართვის ორგანო
25. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი
26. ვაზების მწკრივი ვენახში
27. გერმანიის ნაკრების კაპიტანი
28. ვაჟა ფშაველას „ბახტრიონის" პერსონაჟი
29. გაცვეთილი ფრაზა, შაბლონი
30. თავდაცვით ნაგებობასა და ჯავშნიან კოშკებში დატანებული სარკმელი
31. მწვერვალი ცენტრალურ კავკასიონზე
32. ყვავილების დაწყობის იაპონური ხელოვნება
33. ადამიანის თავსაბურავი
34. კაკლის საბერტყი ჯოხი
35. სიდიდით მეორე ქალაქი ხორვატიაში
36. ლიმონის სანერგე
37. საჭმლის დამზადების ოსტატობა
38. იგივეა, რაც სამართლის-მცოდნე
39. ლომების ოჯახი
40. ხვავი, სიმდიდრე
41. ნატო-ში გაწევ. მსურველ. ქვეყ. შემუშ. პროგრამა (შემოკლებით)
42. მეწაღე „მარადისობის კანონში"
43. კაენის ძმა
44. ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი
45. სასიგნალო ტივტივა წყალზე
46. „თეთრი ოქრო"
47. პლანეტა იუპიტერის ძველქართულში
48. სეგედის ტიტული „დათა თუთაშხიაში"
49. სპარსი პოეტი ... ხაიამი
50. რაგბის ქართული წინამორბედი
51. თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
52. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში
53. სამხრეთ ამერიკული სირაქლემა
54. ხეკაკუნა ფრინველი
55. ჩვენი მნათობი
56. ქალაქი ბაშკირეთში
57. გიტარის მავთული
58. ადამიანის ბიოველი
59. ბინძური თავლების პატრონი
60. ისრის წვერი
61. ნაკურთხი წყალი
62. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში
63. ადამიანის მსგავსი ძუძუმწოვარი
64. ფართობის საზომი ერთეული ჩინეთში
65. „შევროლეს" მოდელი
66. ინდიელთა ფეხსაცმელი
67. მელოტის „ოცნება"
68. ახალზელანდიური უფრთო ფრინველი
69. მთა სადაც ზევსმა ბავშვობა გაატარა
70. ბრილიანტის „წინაპარი"
71. აშშ-ის ტელეპრემია
72. ინდუისტთა სულიერი მოძღვარი
73. აბატი პრევოს პერსონაჟი ... ლესკო
74. ექთანი „თეთრ ბაირაღებში"
75. სოფელი ყაზბეგის რაიონში
76. მოუხარშავი ანუ ...
77. ქალაქი ფინეთში
78. ფეხბურთელი ალესანდრო ... პიერო
79. ქალაქი სახელმწიფო ძველ საბერძნეთში
80. პიკასოს ქალიშვილის სახელი
81. მზის ღმერთი ძველეგვიპტურ მითოლოგიაში
82. „უძინართა მზის" პერსონაჟი ქალი
83. რომის პაპის გვირგვინი
84. დიდი ფრანგი ქიმიკოსი, რომელსაც გილიოტინაზე თავი მოკვეთეს
85. არტურ ... დოილი
86. ბილიარდის ჯოხი

# ჯინსი ძალადობისგან დასაცავად

ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა ქალებზე ძალადობის ფაქტები ინდოეთში. სწორედ ამიტომ, ორმა ინდოელმა სტუდენტმა „გაუპატიურების საწინააღმდეგო" ჯინსი შექმნა, რომელიც სპეციალური მექანიზმითაა აღჭურვილი და განგაშის სიგნალს აწვდის ადგილობრივ პოლიციას. ჯინსის დიზაინის ავტორები 21 და 23 წლის გოგონები არიან. მათი „ნახელავი" იმით გამოირჩევა, რომ პატარა ელექტრონული მექანიზმია ჩაკერებული. ჯინსის ღირებულება სიმბოლურია — მისი შეძენა მხოლოდ ერთ დოლარად იქნება შესაძლებელი, „მოხმარების ვადა" კი სამი თვეა — მექანიზმის ელემენტი მხოლოდ ამდენ ხანს ძლებს. ოფიციალური სტატისტიკით, ყოველ 20 წუთში ინდოეთში გაუპატიურების ერთი შემთხვევა ფიქსირდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.